

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი



მარიტა მებუკია

მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

მაკროეკონომიკის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ ხელმძღვანელი:

თანამდებობა : ასოცირებული პროფესორი

სახელი, გვარი : ნაზირა კაკულია

თბილისი 2020

## ანოტაცია

დღევანდელ ეპოქაში განსაკუთრებული როლი დაიკავა მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საკითხმა. მოცემული პრობლემის აქტუალობა გამომდინარეობს თავის მხრივ მდგრადი განვითარების არსიდან, ვინაიდან ის ფუნდამენტურ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის საკითხში, ისე რომ დაცული იყოს მომავალი თაობის ინტერესებიც. მდგრადი განვითარება არის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, სადაც ასევე გათვალისწინებულია, ეკონომიკური განვითარების ფაქტორი და რა თქმა უნდა გარემოს დაცულობის საკითხიც. ის ასევე ითვალისწინებს ცხოვრების დონის უპირობო ზრდას, მათ შორის საზოგადოების კეთილდღეობის ზრდასაც და მომავალი თაობის უფლებას, რომ შეძლონ ისარგებლონ გარემოში არსებული რესურსებით მაქსიმალურად, ისე რომ არ მიადგეს ზარალი გარემოს.

მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების უმთავრეს მიზანს და სამოქმედო ორიენტირს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარება ისე, რომ ვექტორი მიმართული იყოს ბუნებრივი რესურსის რაციონალური გამოყენებისა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისაკენ.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების თავისებურებები, ასევე მათი დანერგვისას წარმოქმნილი პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ნაშრომში წარმოდგენელია საქართველოში მიმდინარე პროცესები, რომლებიც განხორციელდა უახლოეს წარსულში და თანამედროვე მიმართულებები.

## The annotation

Marita Mebukia

„Green Economy and sustainable development“

In the modern era, the issue of green economy and sustainable development has been especially advanced. The urgency of this problem stems from the importance of its own sustainable development, as it is fundamental to economic growth and to protect the interests of future generations. Sustainable development is a system of social development that ensures human well-being in the interests of economic development and environmental protection, increasing the quality of life and the rights of future generations to enjoy maximum natural resources and environment protected from reversible qualitative and quantitative changes.

The main goal and action of green economy and sustainable development is economic evolution. Due to it the vector is directed towards the rational use of natural resources and the reduction of negative impacts on the environment.

The main aim of the master's parchment is to present the peculiarities of green economy and sustainable development, as well as the problems arising during their introduction and ways to solve these problems. The paper presents the ongoing processes in Georgia, which have been implemented in the modern directions recent years.

# სარჩევი

შესავალი .....	5
თავი I. მდგრადი განვითარების თეორიული ასპექტები.....	10
1.1 მწვანე ეკონომიკის არსი, პრინციპები და მისი გავრცელების თავისებურებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში .....	10
1.2 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების თანამედროვე თეორიები სიღარიბის დაძლევისა და უთანასწორობის შემცირების მიმართულებით .....	14
1.3 მდგრადი განვითარების მიღწევის მსოფლიო გამოცდილება .....	25
თავი II. მწვანე ეკონომიკა - გლობალური გამოწვევა და საქართველო.....	39
2.1 მწვანე ეკონომიკის განვითარების ასპექტები საქართველოში.....	39
2.2 მდგრადი განვითარების კუთხით გატარებული პროექტები საქართველოში .....	48
თავი III. მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.....	54
3.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დანერგვისათვის საქართველოში გატარებული ღონისძიებების ანალიზი .....	54
3.2 მწვანე ეკონომიკის ფორმირების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.....	64
დასკვნა .....	81
გამოყენებული ლიტერატურა.....	83

## შესავალი

დღეისათვის მსოფლიოში მეტად აქტუალურ თემას წარმოადგენს მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. ეკონომიკური მოდელი, რომელიც უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში დომინირებს, სამწუხაროდ, არსებობს და განვითარებას ჰპოვებს გარემოს დაბინძურების პირობებში, ასევე ადგილი აქვს რესურსების არარაციონალურ გამოყენებასა და საკუთრივ ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკებს. მსგავსი სიმბიოზი კი შეიძლება გამანადგურებელი ეფექტის მქონე აღმოჩნდეს დედამიწისთვის. ბოლო პერიოდში ნათელი გახდა, რომ მსგავსი ეკონომიკური განვითარება საბოლოო ჯამში დამანგრეველ როლს ითამაშებდა კაცობრიობის ისტორიაში. და სამწუხაროდ, არსებობს ამ მოსაზრების დამადასტურებელი არაერთი ფაქტი. შესაბამისად, მოკლედ რომ შევაჯამოთ, ეკონომიკური მოდელის ამ სახეობამ თავისი თავი უკვე ამოწურა. თუმცა, საპირისპიროდ, ნელ-ნელა ჩაისახა მწვანე ეკონომიკური განვითარების იდეა. ამ მოდელის განვითარების აუცილებლობა ერთგვარად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ძალიან დიდია ეკოლოგიური პრობლემების წილი ეკონომიკური განვითარების პროცესში წარმოქმნილ უარყოფით ასპექტებში.

მათ შორის შეიძლება გამოიყოს, რამდენიმე საკვანძო პრობლემა:

- წყლის რესურსის დაბინძურება
- ატმოსფეროს დაბინძურება
- მნიშვნელოვანი მინერალური რესურსის არარაციონალური გამოყენება
- საყოფაცხოვრებო, ასევე სამრეწველო ნარჩენების არარაციონალური მართვა
- პლაჟების დაშლა და გარეცხვა
- მიწის ეროზია
- გაუდაბნოების პრობლემა
- ტყეების პრობლემატიკა, მისი ჩეხვა და სხვა

თითოეული ეს პრობლემა უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან უმეტესობა მათგანი მიეკუთვნება ამოწურვად რესურსებს და თითოეული

მათგანის არარაციონალური გამოყენება ან მათდამი დაუდევარი მოპყრობა ზიანს მიაყენებს არამხოლოდ გარემოს და ადამიანს, არამდე თავად ეკონომიკასაც.

**საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება:** მწვანე ეკონომიკა დამყარებულია პირველ რიგში მდგრად განვითარებაზე და ასევე ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. ეს არის ერთ-ერთი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. მწვანე ეკონომიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა დარგებისაგან, კერძოდ, განსხვავება განპირობებულია იმით, რომ მწვანე ეკონომიკა უპირველესად ანალიზებს ისეთ ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკ. ღირებულება გააჩნია.<sup>1</sup>

მდგრადი განვითარება განიმარტება, როგორც- „საზოგადოების განვითარების ის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს გარემოს დაცვის ინტერესებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობის ზრდას, რაშიც თავის მხრივ მოიაზრება ცხოვრების დონის ხარისხის ზრდაც და ასევე მომავალი თაობის უფლების დაცვაც, რომ ისარგებლონ მაქსიმალურად ხელშეუხებელი და დაცული ბუნებრივი რესურსებით, რაც არსებობს გარემოში და ასევე სუფთა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებას. სხვაგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწვანე ეკონომიკა განიმარტება, როგორც ეკონომიკის ის მოდელი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს გარემოზე უარყოფითი ეფექტების შემცირება და ასევე ეკოლოგიური დანაკარგების მინიმიზაცია.<sup>2</sup> მწვანე ეკონომიკის მდგრადი განვითარება თავის მხრივ ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ ათვისებას და ავტომატურად შემცირდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებაც, ეს საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისთვის, და არამხოლოდ, ამ პროცესში ჩართულია მთელი დედამიწა.

მწვანე ეკონომიკის, როგორც ეკონომიკური მოდელის წინა რიგებში წამოწევა საკუთრივ მოიცავს მდგრად განვითარებასაც. მდგრადი განვითარება, როგორც იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში ჩაისახა. გაერთიანებული ერების

<sup>1</sup> გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

<sup>2</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მდგრადი განვითარება

ორგანიზაციის სტოქჰოლმის სხდომაზე 1972 წელს გამოთქვეს აზრი, რომ სრულიად შესაძლებელია, რომ თავსებადი აღმოჩნდეს ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური განვითარება, ისე რომ ადგილი არ ჰქონდეს გარემოს დაბინძურებასა და დაზიანებას.<sup>3</sup> რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შესაძლებელია და ამ მიმართულებით დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით ხოერციელდება არაერთი პროექტი. გამონაკლისი არაა ამ მიმართულებით საქართველოც.

**თემის აქტუალობა:** დღეისათვის არავინ დაობს იმ ფაქტზე, რომ მდგრადი განვითარება აუცილებელია ჩვენს ეპოქაში, რადგან მხოლოდ ეკონომიკის განვითარება ისე, რომ არ მოხდეს თანმდევი უარყოფითი ასპექტების იდენტიფიცირება და მათ გამოსწორებაზე ფიქრი, ვერცერთი ერისთვის ვერ იქნება სიკეთის მომტანი. ზოგადად ადამიანის კეთილდღეობა არ შეიძლება, მოიცავდეს მხოლოდდამხოლოდ მატერიალურ სიკეთეს, აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე ჯანმრთელობის საკითხი, ჯანსაღი სოციალური თუ ბუნებრივი გარემოს შექმნა და ასე შემდეგ.

ადამიანები იყენებენ წყლის მნიშვნელოვან რესურსს, რომლის მიმართაც განხორციელებული ეკონომიკური აქტივობები ხშირად უარყოფით კორელაციას წარმოქმნიან. ძალიან ბევრი საწარმო წყალში ყრის ნარჩენებს, რაც აბინძურებს ისევე როგორც სასმელ წყალს, ასევე უვარგისი ხდება საკვებად ის წყალში მცხოვრები ორგანიზმები, რომლებსაც ისევე ადამიანები მიირთმევენ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სასმელი წყლის მოპოვებისას გზად ხდება წყლის დაღვრა, რაც იწვევს დანაკარგებს და ვაწყდებით რესურსის არარაციონალური გამოყენების შემთხვევას.

დაზარალებულის როლშია ასევე ატმოსფეროც, საიდანაც ადამიანები ვიღებთ სიცოცხლისთვის აუცილებელ რესურს- ჟანგბადს, დეგრადაციას განიცდის ასევე ნიადაგი, ნადგურდება ხე-ტყის რესურსი და ასე შემდეგ. დღეისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „გაუდაზნოების“ საკითხი. ამ მიმართულებით მუშაობს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია და თითქმის ყველა ქვეყანა. ეს პრობლემა

---

<sup>3</sup> 2017. მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი საერთაშორისო ფორუმის ყურადღების ცენტრში

განსაკუთრებით აქტუალურია აზიასა და აფრიკის რეგიონებში. სამწუხაროდ, ამ პრობლემას საკმაოდ აქტუალურად ვაწყდებით საქართველოშიც. ამ ფაქტთან პირდაპირ კორელაციაშია ჯანსაღი საკვების დეფიციტიც.

აუცილებელია, ადამიანებმა დროულად მივიღოთ გარკვეული ზომები იმისათვის, რათა შეწყდეს ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე. ამის მნიშვნელოვანი ფუნდამენტი, სწორედ მდგრად განვითარებაში უნდა ვეძიოთ. ის შეიძლება აღვიქვათ, როგორც მამველი რგოლი, რომელიც გადაგვარჩენს ჩვენ და მომავალ თაობებს.

დღეისათვის, COVID-19-ის პირობებში, მწვანე ეკონომიკამ და მდგრადმა განვითარებამ ისეთი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც არასდროს. „შეუძლებელია, რომ პანდემიის შედეგები არ იყოს კავშირში მდგრადი განვითარების მიზნებთან“ —ეს სიტყვები ეკუთვნის ნორვეგიის პრემიერ მინისტრს ერნა სოლბერგის და განას პრეზიდენტ ნანა აკუფო-ადოს. (ე. სოლბერგი. 2020)

მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე მსოფლიოში და შეიძლება ითქვას, რომ შემდეგი ათწლეული ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგი. ეკონომიკური განვითარების ეს მიმართულება თითქმის ყველა სფეროში და ყველა ქვეყანაში გვახსენებს თავს და თითქოს მოგვიწოდებს, რომ დროულად მივიღოთ ზომები და დავიწყოთ მისი დანერგვა არამხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობაში, არამედ საზოგადოების ცნობიერებაშიც.

**ნაშრომის მიზანი:** მოცემული კვლევა სწორედ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის დანერგვისა და შემდეგ უკვე განვითარების აუცილებლობას ეხება, ასევე ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარებისკენ მიმავალ გზაზე შექმნილი სირთულეები და პრობლემები, რომლებიც წარმოიშვა საქართველოში, ასევე საუბარია მდგრადი განვითარების დანერგვის შედეგებსა და რეკომენდაციებზე.

ნაშრომის მიზანია მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოდელის ზემოქმედების შესწავლა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სტაბილურობაზე, საზოგადოების



კეთილდღეობასა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე. დღეისათვის, ეკონომიკის ამ მიმართულებით ინვესტიციებს ახორციელებს უფრო მეტად განვითარებული ქვეყნები, თუმცა საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ პროპაგანდა გაუწიონ მდგრად განვითარებას განვითარებად ქვეყნებშიც. ისინი აქტიურად ეხმარებიან აზიისა და აფრიკის რეგიონებს ამ უდიდესი პრობლემის გადაჭრასა და მდგრადი განვითარების მიღწევაში. ამ მიმართულებით გამონაკლისი არაა საქართველოც. საქართველო თანამშრომლობს არაერთ დონორ ორგანიზაციასთან და მათი რეკომენდაციების დაცვით აქტიურად ცდილობს, დაწერგოს მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება ქვეყანაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულების არამხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობაში, არამედ საზოგადოების ცნობიერებაშიც დანერგვა. რადგან მთავარი ძალა, სწორედ საზოგადოებაა ქვეყანაში და სწორედ მათზე მოდის ლომის წილი ნებისმიერი ცვლილების დანერგვისა თუ განვითარების პროცესის წარმართვაში.

მცდელობების მიუხედავად საქართველოში მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის რეალიზება საზოგადოებაში ხდება მცირე დოზით. ალბათ, ეს არის საზოგადოების ნაკლებად ინფორმირებულობისგან წარმოშობილი პრობლემა. თუმცა, ეკონომიკის ეს მოდელი ასეა თუ ისე ჯერ-ჯერობით ახალია საქართველოსთვის და მისი დანერგვა ხდება ეტაპობრივად. შესაბამისად ეტაპობრივად გამოსწორდება ყველა ის ხარვეზი, რაც თავისთავად ახლავს თან ყოველივე ახლის დანერგვის მცდელობას.

## თავი I. მდგრადი განვითარების თეორიული ასპექტები

### 1.1 მწვანე ეკონომიკის არსი, პრინციპები და მისი გავრცელების თავისებურებები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

მწვანე ეკონომიკა აღიქმება, როგორც დღეს ჩვენს რეალობაში არსებული დომინანტური ეკ. მოდელის ალტერნატივა. ბოლო ასწლეულის განმავლობაში არსებული ეკონომიკური მოდელი, ვითარდება გარემოსადმი ზიანის მიყენების, რესურსების დაუდევარი გამოყენებისა და ადამიანის ჯანმრთელობის უგულვებელყოფის პირობებში. ბოლო პერიოდში ნათელი გახდა, რომ მსგავსი ეკონომიკური განვითარება საბოლოო ჯამში სიკეთეს ვერ მოუტანდა კაცობრიობას. მარტივად, რომ ვთქვათ, ამ მოდელმა თავისი თავი უკვე ამოწურა. საპირისპიროდ, ნელ-ნელა ჩაისახა მწვანე ეკონომიკური განვითარების იდეა. ამ ვითარებაში მწვანე ეკონომიკა შეიძლება აღვიქვათ, როგორც მაშველი რგოლი, რომელსაც შეუძლია კაცობრიობის დახმარება გადარჩენასა და მდგრადი განვითარების მიღწევაში. მწვანე ეკონომიკა ფუნდამენტურ როლს თამაშობს ადამიანების სოციალური თანასწორობისა კეთილდღეობის საკითხის გამყარებაში, ის ასევე უარყოფითად კორელირებს გარემოს რისკების არსებობაზე და ამცირებს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ დანაკარგებს. უნდა თქვას ისიც, რომ მწვანე ეკონომიკა თავის მრივ ქმნის ე.წ. მწვანე სამუშაო ადგილებს, გარდა ამისა ის არის გარანტი რეალური, მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ჯანსაღი გარემოს არსებობის. მისი დახმარებით მინიმალურია კლიმატის ცვლილებები, ასევე გარემოს დეგრადაცია, ასევე აქვე მოიზრება რესურსების გამოლევის საშიშროებაც. ის ერთგვარი მასტიმულირებელია ბიზნესის, და შთააგონებს რომ საწარმოებმა აწარმოონ როგორც მწვანე პროდუქტი, ასევე საკუთრივ მწვანე მომსახურებაც.

მწვანე ეკონომიკა ერთმანეთისგან არ განასხვავებს სახელმწიფო და კერძო სექტორს. პირიქით, მისი მიზანია, აღმოაჩინოს არარაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილების ალტერნატიული მიდგომა. მწვანე ეკონომიკის მნიშვნელოვან

რეგულატორს არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც კერძო ბიზნესი, არამედ აქ მთავარ როლს თამაშობს საზოგადოება, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს და თავად მართავს მიმდინარე პროცესებს.

მწვანე ეკონომიკა ეყრდნობა უპირველესად ძირითად სამ აქსიომას. შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ თითოეული მათგანი:

1. შეუძლებელია, გავაფართოოთ გავლენის სფეროები უსაზღვროდ შეზღუდულ სივრცეში
2. დადამიწაზე არსებობს განსაზღვრული რაოდენობის რესურსები და შესაბამისად ასეთ პირობებში შეუძლებელია მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება
3. ყოველივე ის, რაც დადამიწაზე არსებობს, მჭიდრო კორელაციაშია ერთმანეთთან<sup>4</sup> (მ.ქოჩლაძე 2019)

მწვანე ეკონომიკა ზოგადად მოიცავს მნიშვნელოვან ექვს მთავარ სექტორს:

1. მათ შორის ერთ-ერთია- განახლებადი ენერჯია - ეს იგივეა, რაც რეგენერაციული ენერჯია - მისი მიღება შესაძლებელია, ისეთი წყაროებიდან, რომლებიც ითვლება ამოუწურავ რესურსად. (განახლებად ენერჯიად ასევე შეიძლება, ჩაითვალოს: გეოთერმული, ქარისა და მზის, მათ შორის ზღვის, და ასევე –მიქცევა-მოქცევისა და ტალღების , სითბური უჯრედებისა და ბიოგაზის ენერჯია);
2. მწვანე შენობები (აქ შეიძლება, მოვიაზროთ მწვანე მასალები, ნაგებობები და რა თქმა უნდაპროდუქტებიც);
3. სუფთა ტრანსპორტი (ამ სექტორში მოიაზრება ალტერნატიული საწვავიც);
4. წყლის მენეჯმენტი (აქ შეიძლება მოვიაზროთ- შიდა წყლის ლანდშაფტიც);
5. ნარჩენების რაციონალური გადამუშავება (ეს სექტორი მოიცავს:- უტილიზაციას, ნარჩენების მართვას და სხვას);
6. მიწის მენეჯმენტი (შეიძლება მასში მოვიზროთ ტყე, ორგანული სოფლის მეურნეობა, პარკები, ტყეების განაშენიანება და ასე შემდეგ).<sup>5</sup>

<sup>4</sup> ქოჩლაძე მ. მწვანე ეკონომიკის დილემა. თბილისი. 2019

<sup>5</sup> ასოციაცია მწვანე ალტერნატივა. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. თბილისი. 2013

მწვანე ეკონომიკა ემყარება შემდეგ ექვს მთავარ პრინციპს:

1. სამართლიანობისა და ობიექტურობის დაცვა, არამხოლოდ ერთი თაობის წარმომადგენლებში, არამედ თაობათა შორისაც. დაუშვებელია ეგოისტური მიდგომები და დედამიწაზე არსებული რესურსების არარაციონალურად მითვისება და გამოყენება. განსაკუთრებით ეს ეხება არაადგენით რესურსებს. მსგავსი დაუდევარი ქცევა მომავალ თაობებს დატოვებს რესურსების გარეშე, და არამხოლოდ, მსგავსი ქცევა საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მათ ასევე ვწირავთ გარდაუვალი შიმშილობისათვის, და ასევე ჯერაც უცნობი დაავადებებისათვის. ჩვენ დაკისრებული გვაქვს უდიდესი პასუხისმგებლობა მომავალი თაობის წინაშე. და შესაბამისად აღებული გვაქვს ვალდებულება, შევუნარჩუნოთ დედამიწა მათ ისეთი, ან ბევრად უკეთესი ვიდრე ის გვიანდერძეს ჩვენმა წინაპრებმა.
2. სოციალური და ასევე ბუნებრივი კაპიტალის სწორად შეფასება
3. თანხვედრა მდგრადი განვითარების პრინციპებებთან
4. რაციონალური დამოკიდებულება, თუ როგორ ვიმოქმედოთ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. ვინაიდან რეალურად მწვანე ეკონომიკის მთავარ არსს წარმოადგენს, მიზანმიმართულად ისეთი ეკონომიკური განვითარება, რომლის პირობებშიც არ დაზარალდება გარემო
5. რესურსებისადმი რაციონალური მიდგომა, რაშიც მოიაზრება მათი წარმოება, მოხმარება და ასე შემდეგ ეფექტურად
6. „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნა, რაც თავის მხრივ ასევე შეამცირებს სიღარიბეს, მნიშვნელოვანია ასევე კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხიც <sup>6</sup>(ნ. ტალიკაძე 2019)

შეიძლება მოკლედ შევაჯამოთ ყოველივე ზემოთხსენებული, და ვთქვათ, რომ მწვანე ეკონომიკის ყველა ზემოთხსენებული პრინციპი გულისხმობს ეკონომიკის ისეთი მიმართულებით განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტურად და ნაკლები დანაკარგებით გამოყენებას, და არამხოლოდ, ასევე ის ითვალისწინებს ბუნებაზე ზრუნვას, ადამიანების

---

<sup>6</sup> ტალიკაძე ნ. კონფერენცია- „ ეკონომიკა – XXI საუკუნე “.თბილისი 2019

კეთილდღეობაზე ორიენტირებულობას და მნიშვნელოვნად ეკონომიკურ განვითარებასაც.

მწვანე ეკონომიკა მეტნაკლებად ვითარდება თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ასევე პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს მდგრადი განვითარება უმრავლესი ქვეყნებისათვის. მწვანე ეკონომიკა განვითარების გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას განვითარებულ ქვეყნებში, რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათ უმრავლესობაში ის ჩანასახის დონეზე იმყოფება. მწვანე ეკონომიკამ განვითარება ჰპოვა ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორცაა აფრიკის თითქმის გაუდაბნოებული ტერიტორიები. ყველაზე სავალალო შედეგები მდგრადი განვითარების კუთხით სწორედ აფრიკასა და აზიაშია. UNCCD-ის ხელშეწყობით ჩაისახა მწვანე კედლის ინიციატივა 2030, რომელიც მოიცავს აფრიკის 100 მილიონ ჰექტარსა და დაახლოებით 20-მდე ქვეყანას. ამ ტერიტორიაზე უნდა გაშენდეს მწვანე საფარი. რაც ხელს შეუწყობს გაუდაბნოების პრობლემის მოგვარებას. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ძირითადად ეხმარება საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები, როგორც ფინანსურად ასევე რეკომენდაციებითაც, რათა შეძლონ მწვანე ეკონომიკის დანერგვა და შემდეგ უკვე განვითარება.

მსოფლიო გამოცდილებას მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით უფრო ვრცლად განვიხილავთ მოგვიანებით.

## 1.2 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების თანამედროვე თეორიები სიღარიბის დაძლევისა და უთანასწორობის შემცირების მიმართულებით

მნიშვნელოვანი შეთანხმება დაიდო 25 სექტემბერს 2015 წელში. ამ შეთანხმების საფუძველზე გაეროს წევრმა 193-მა ქვეყანამ მიაღწია შეთანხმებას მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტის შესახებ, რომლის სათაურიცაა- „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. რომელიც მოიცავს ძირითად 17 მიზანს, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილნი არიან 169 ამოცანად. თითოეული ეს მიზანი წარმოადგენს გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს და თითოეული მათგანი ორიენტირებულია მდგრადი განვითარების სამ ძირითად ელემენტზე, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. ეს ელემენტები მოიცავს: სოციალური ინკლუზიას, ეკონომიკური ზრდას და გარემოს დაცვას.<sup>7</sup>

განვიხილოთ „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ დღის წესრიგის მოცემული 17 მიზანი:<sup>8</sup>

1. უნდა აღმოიფხვრას ყველანაირი სიღარიბის ფორმა. ეს მიზანი შეიძლება ჩაიშალოს შემდეგ ქვემიზნებად:

- 2030 წლისთვის მთელს მსოფლიოში უნდა აღმოიფრქვას ექსტრემალური სიღარიბე, რომელიც ზოგადად განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ცხოვრება დღეში 1.25 დოლარზე ნაკლები რესურსით.
- 2030 წლისთვის ყველაზე ცოტა, რაც შეიძლება გაკეთდეს, უნდა განახევრდეს სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის პიროვნების რაოდენობა
- აუცილებელია, შეიქმნას გონივრულად შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემა ყველასთვის, მათ შორის მნიშვნელოვანია ასევე მინიმალური სოციალური უფლებები და 2030 წლამდე ფაქტიურად სრულად უნდა მოიცვას სიღარიბეში მყოფი ადამიანები და ასევე მოწყვლადი ჯგუფები

<sup>7</sup> ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი საერთაშორისო ფორუმის ყურადღების ცენტრში. თბილისი. 2017

<sup>8</sup> Sustainable Development Goals. 2020

- 2030 წლამდე უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ ყველა ქალსა და მამაკაცს (განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფი და მოწყვლადი ჯგუფები) თანაბარი უფლება ჰქონდეთ ეკონომიკურ რესურსებზე წვდომისა, ასევე ელემენტარულ სერვისებზე, მიწისა და სხვა უძრავი ქონების საკუთრებასა და მართვაზე.
- 2030 წლისათვის უნდა გააძლიერდეს სიღარიბეში მცხოვრებთა და მოწყვლადი ჯგუფების მედგრობა ასევე მნიშვნელოვანია, და შემცირდეს მათი დაუცველობა კლიმატისგან გამოწვეული კატასტროფებისგან და სხვა სოციალური, ეკონომიკური, თუ გარემოსდაცვითი შოკებისა და უბედური შემთხვევებისგან
  2. შიმშილის აღმოფხვრა, აქვე მოიაზრება სასურსათო უსაფრთხოების დაცვა და გაუმჯობესებული კვებიაზე ორიენტირება და რაც უმნიშვნელოვანესია, მდგრადი მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა
  3. ყველა ასაკის ინდივიდისათვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი ჯანსაღი ცხოვრების შესაძლებლობა და უნდა იქნეს უზრუნველყოფილი კეთილდღეობის მაღალი დონე
  4. თანასწორი და ინკლუზიური განათლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. და ასევე უწყვეტი სწავლის უზრუნველყოფა ყველა მოზარდის, მოსწავლისა თუ სტუდენტისათვის;
- 2030 წლისათვის ყველა ბიჭისა და გოგონასათვის აბსოლუტურად ხარისხიანი, თანასწორობაზე ორიენტირებული და უფასო დაწყებითი და ასევე საშუალო განათლების მიღების საშუალების მიცემა, რაც მოუტანს შედეგზე ორიენტირებულ ცოდნას და აუმაღლებს განათლების დონეს
- 2030 წლისათვის ყველა მოზარდისათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის დანერგვა, რათა მათი განათლების დონე აკმაყოფილებდეს მინიმუმს მაინც
- 2030 წლისათვის ყველა პიროვნებისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროფესიული, ტექნიკური, საშუალო და უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა
- 2030 წლისათვის იმ ადამიანთა რაოდენობის მნიშვნელოვნად ზრდა, რომელთაც გააჩნიათ ყველა ის უნარი, რომელიც სჭირდება დამსაქმებელს.

- 2030 წლისთვის განათლებაში უთანასწორობის სრულად განეიტრალება მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვისაც.
- 2030 წლისათვის ყველა ინდივიდისათვის წერა-კითხვის სწავლება
- 2030 წლისთვის ყველა მოზარდი თუ ზრდასრული პიროვნება გათვითცნობიერებული უნდა იყოს მდგრადი განვითარების პრინციპებში.
- 2030 წლისთვის კვალიფიციური მასწავლებლების რიცხოვნობის მნიშვნელოვნად ზრდა, აქ იგულისხმება რა თქმა უნდა განვითარებადი ქვეყნებიც. აქ მნიშვნელოვანია ტრენინგებისა და გადამზადების არსებობა მასწავლებელთათვის

5. აუცილებელია, მიღწეულ იქნას გენდერული თანასწორობა, რაც რა თქმა უნდა აერთიანებს ყველა მდებარეობითი სქესის წარმომადგენლის შესაძლებლობების გაუმჯობესების იდეას

- 6. წყლის მდგრადი მართვის და სანიტარული ნორმების დაცვის მიღწევა
- 2030 წლისათვის ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს უსაფრთხო და ჯანსაღ სასმელ წყალზე წვდომა. დაცული უნდა იყოს სისუფთავის ყველა ნორმა

7. სტაბილური და თანამედროვე ენერჯია უნდა გახდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი

8. სტაბილური, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წინა პლანზე წამოწევა, სრული და ასევე პროდუქტიული დასაქმება; ღირსეული სამუშაო ყველა ინდივიდისთვის; საინტერესო იქნება, თუ ჩავშლით ამ მიზანს:

- ეკონომიკური პროდუქტიულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება ისეთი გზებით, როგორებიცაა: დივერსიფიცირება, ტექნოლოგიების განახლება და ინოვაციები, აქვე მოიაზრება მაღალი დამატებითი ღირებულებაც.
- უნდა წახალისდეს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკა ყოველივე ეს დაეხმარება მწვანე საწარმოო საქმიანობას, უპირველესად ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობის განვითარებას და ასე შემდეგ



- 2030 წლისთვის ყველა ინდივიდისთვის ღირსეული სამუშაო ადგილების შეთავაზება, კონკურენტუნარიანი და სამართლიანი ანაზღაურებით, ასევე შესაბამისი გარემო პირობებით
- 2020 წლისთვის ახალი თაობის პროპორციული ოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება, რომლებიც არ არიან არაფრით დასაქმებულნი. ესეგი მათი საქმიანობა არ მოიცავს არც სწავლას და არც მუშაობას, რაც შემდეგ უკვე აისახება საზოგადოების დაბალი თვითშეგნების მაჩვენებელზე.
- შრომითი უფლებების დაცვა, რაც თავისთავად მოიცავს უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნას ყველა ინდივიდისათვის
- განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობის დექტორისათვის არსებული დახმარებების ზრდა, განსაკუთრებით კი ნაკლებად განვითარებულ ქვეყნისათვის, რომელთაც ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, შესაძლებლობების გარდა, გამოცდილებაც მწირი გააჩნიათ
- 2020 წლისთვის ახალგაზრდების დასაქმება, რომ მასიურად და აქტიურად დასაქმდნენ ახალგაზრდები და რაც მთავარია, მათვის უნდა შეიქმნას ღირსეული სამუშაო ადგილები

9. მდგრადი ინფრასტრუქტურის აღორძინება, ინოვაციების წახალისება

10. უთანასწორობის შემცირება. მოიაზრება არამხოლოდ ქვეყნის შიგნით შემცირება, არამედ სხვადასხვა ქვეყნებს შორისაც.

- 2030 წლისთვის მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და გაზრდილი მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალო ეროვნულ განაკვეთზე მაღლა
- თანასწორი შესაძლებლობების მიღწევა, რაც თავისთავად მოიცავს უთანასწორობის შემცირებას.
- ფისკალური, სოციალური დაცვისა სახელფასო პოლიტიკის მოდიფიცირება, შედეგად კი უთანასწორობის თანდათანობითი შემცირება, რაც ერთ-ერთი უპირატესი მიზანია
- გლობალური საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებების მიღებისას განვითარებადი ქვეყნების სიტყვისათვის

მნიშვნელობის მინიჭება, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს თანასწორობის მიზნის მიღწევას

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ფინანსური დახმარებების ვექტორის მიმართვა განვითარებადი ქვეყნების წინსვლის

11. დასახლებებისა და ქალაქების ინკლუზიური, მდგრადი და უსაფრთხო განვითარება;

- მხარდაჭერის აღმოჩენა განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ შორის იგულისხმება ფინანსური და ასევე ტექნიკური მხარდაჭერა, და რა თქმა უნდა ასევე აღნიშნულ პროცესში ადგილობრივი მასალების გამოყენებაში
- 2030 წლისათვის მწვანე ფართების ხელმისაწვდომობა ყველასთვის, აქ რა თქმა უნდა არ უნდა გამოგვრჩეს უსაფრთხოების ფაქტორის გათვალისწინებაც
- 2030 წლისათვის ასევე უნდა შემცირდეს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების წილი დიდ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების და ნარჩენების გადამუშავებისა და მართვის საკითხებს
- უნდა შემცირდეს ეკონომიკური თუ ეკოლოგიური დანაკარგების მაჩვენებლები, ასევე მნიშვნელოვანია სიკვდილიანობის დონის შემცირება

12. მდგრადი წარმოება და მოხმარება; ეს მიზანი შეიძლება ჩაიშალოს შემდეგ ქვემიზნებად:

- უნდა დაინერგოს წარმოების 10 წლიანი გეგმა და ამ გეგმის დანერგვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს არამხოლოდ განვითარებულმა ქვეყნებმა, არამედ განვითარებადმა და მითუმეტეს ნაკლებად განვითარებადმა ქვეყნებმაც, სწორედ სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი მოითხოვს ამას.
- მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების დანერგვა
- ასევე უნდა შემცირდეს კვების დანაკარგები. აქ მოიაზრება წარმოების ფაზიდან მიწოდების ფაზის ჩათვლით ციკლი

- უნდა შემცირდეს ქიმიური ნივთიერებების გამოყენება საკვების წარმოებისას, რადგან ის საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ეწინააღმდეგება მდგრადი განვითარების ძირეულ პრინციპებს
- 2030 წლისთვის აუცილებელია, რომ შემცირდეს ნარჩენების მოცულობა. რაც გულისხმობს ამ საკითხისადმი რაციონალურ მიდგომებს
- მდგრადობაზე ორიენტირებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეწყობა ეროვნული პოლიტიკისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით

13. კლიმატის ცვლილების კონტროლი და ასევე მისი უარყოფითი ზეგავლენის წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება; ეს მიზანი შეიძლება ჩაიშალოს შემდეგ ქვემიზნებად:

- მსოფლიოს ყველა ქვეყნის მზაობის გაძლიერება სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ
- ყველა ქვეყნის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, გეგმებსა და სტრატეგიებში აუცილებელია, ასახული იყოს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ შემუშავებული ზომები
- განათლების დონის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ მოიცავს ცნობიერების დონის ამაღლებას კლიმატთან დაკავშირებით. რა იწვევს კლიმატის ცვლილებებს და როგორ უნდა ავირიდოთ თავიდან მსგავსი შემთხვევები

14. ზღვისა და ოკიანის რესურსების კონსერვაცია და მუდმივი გამოყენება რაციონალურად

- 2025 წლისთვის, თავიდან უნდა მოხდეს აცილება და მეტიც მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს ყველა ტიპის საზღვაო დაბინძურება, მათ შორის, ისინიც, რომლებიც გამოწვეულია მიწასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან
- 2020 წლისათვის სანაპირო და საზღვაო ეკოსისტემების მდგრადი მართვა და დაცვა, რაც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას; მათი მდგრადობის განმტკიცებასა და აღდგენის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას, ასევე უმნიშვნელოვანესი საკითხია, ჯანსაღი და ნაყოფიერი ოკეანის არსებობა

- ოკეანეში მჟავების ზემოქმედების მინიმიზაცია, რაც შესაძლებელია მეცნიერთა ჩარევით
- 2020 წლისთვის თევზჭერის რეგულირება. აქ იგულისხმება თევზების მოპოვება მავნებლური გზებით, როგორცაა მაგალითად ასაფეთქებლების გამოყენება და სხვა.
- 2030 წლისთვის კარგუ იქნება, თუ გაიზრდება მცირე და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სარგებელის მიღების დონე საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენებისას
- საზღვაო ტექნოლოგიის გაუმჯობესება, სამეცნიერო ცოდნის ხარისხის ამაღლება, შესაძლებლობების განვითარება და სხვა
- მცირე ზომის მეთევზეებსაც უნდა შეეძლოთ მარტივად წვდომა საზღვაო რესურსებსა და ბაზრებზე
- აუცილებელია, გაძლიერდეს ოკეანეების და მათი რესურსების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენების პრაქტიკა UNCLOS- ში ასახული საერთაშორისო რეგულაციების დანერგვის დახმარებით

15. ეკოსისტემების აღდგენა და დაცვა, ტყის რესურსის რაციონალური მართვა, გაუდაბურების პრობლემის მოგვარება, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და ბიომრავალფეროვნების პირველსახის შენარჩუნება;

- 2020 წლისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად მიწისზედა და შიდა მტკნარი წყლების ეკოსისტემების კონსერვაცია უნდა მოხდეს, ასევე აღდგენა და რაც უმნიშვნელოვანესია - მდგრადი გამოყენება
- ამავე დროისათვის ყველა სახის ტყისა თუ ტყის რესურსის მდგრადი მართვის უზრუნველყოფა, პირველ რიგში კი გაუდაბნოების შეჩერება, ასევე მნიშვნელოვანია ტყის ხელოვნური თუ ბუნებრივი განახლების საკითხის დღის წესრიგში მიღება
- 2030 წლისთვის უნდა გადაიჭრას გაუდაბნობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც მოიცავს დეგრადაციის საკითხსაც

- 2030 წლისთვის დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მთის ეკოსისტემების კონსერვაციის საკითხს, აქ შეიძლება, მოვიაზროთ მათი მათი ბიომრავალფეროვნებაც

16. ინკლუზიური და მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი განვითარება

- ძალადობის აბსოლუტურად ყველა ფორმის შემცირება. რა თქმა უნდა აღკვეთილი უნდა იყოს ამ ფორმით გამოწვეული ადამიანების სიკვდილიანობა
- ბავშვებისადმი ცუდი დამოკიდებულების, მათ შორის სასტიკი და არაადამიანური დამოკიდებულების აღმოფხვრა
- მართლსაჯულება უნდა იყოს ყველა ინდივიდისათვის თანაბარი, და არ შეიძლება განარჩევდეს ის ვინმეს
- უკანონო იარაღის მნიშვნელოვნად შემცირება, ეს ეხება ასევე უკანონო ფინანსურ ნაკადებსაც
- კორუფციის აღმოფხვრა, მექრთამეობის საბოლოოდ გაქრობა
- ეფექტიანი, გამჭვირვაკე, ანგარიშვალდებული ინსტიტუტების შექმნა აბსოლუტურად ყველა დონეზე
- გლობალური მმართველობის ინსტიტუტის მონაწილეობა ამ საკითხებში და მათი დახმარება და ჩართულობა ამ მიმდებარელებით განვითარებად ქვეყნებში
- 2030 წლისთვის ყველა ინდივიდის სამართლებრივი სტატუსის აუცილებლობა, აქ იგულისხმება ასევე დაბადების მოწმობის ქონის აუცილებლობაც.
- ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოების აბსოლუტურად ყველა ჯგუფისთვის ერთნაირად

17. პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ეს მიზანი შეიძლება ჩაიშალოს შემდეგ ქვემიზნებად:

- შიდა რესურსების მობილიზაციის უზრუნველყოფა; მათ შორის, განვითარებადი ქვეყნებისათვის გაწეული საერთაშორისო მხარდაჭერა და დახმარება, რაც დაეხმარება განვითარებად ქვეყნებს უკეთ მოერგონ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და უფრო მარტივად შეძლონ ეკონომიკის ახალ, მდგრად მოდელზე გადასვლა

- განვითარებადი ქვეყნებისთვის სხვადასხვა წყაროებიდან უნდა მობილიზდეს გარკვეული თანხები, რათა კრიზის დროს მათ არ გადაუხვიონ მდგრადი განვითარების რელსებს
- დაინერგოს და შემუშავდეს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის ინვესტიციების ხელშეწყობის გზები და მიმართულებები. რათა შეძლონ ტესურსების გამოყენება მდგრადი განვითარების მიმართულებით
- აუცილებელია, უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ განვითარებას განვითარებად ქვეყნებში, რათა სწრაფად მოხდეს მათი რეალიზება
- მოცემული ტექნოლოგიები, აუცილებელია, რომ იყოს ეკოლოგიურად ჯანსაღი
- სამართლიანი სავაჭრო სისტემის ფორმირება, სადაც დაცული იქნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპიც
- განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის წილის ზრდა, კერძოდ, ეს მოიცავს განვითარებადი ქვეყნების ექსპორტის წილის ორჯერ ზრდას ბოლო პერიოდთან შედარებით
- ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის ვალდებულებების, კვოტებისა და გადასახადების შემცირება, რათა უკეთ შეძლონ მათ რეალიზება და მოერგონ ბაზრებს
- სრულად მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაზრდა გლობალურ კრიზისში, მათ შორის პოლიტიკის სფეროშიც
- არ უნდა იყოს აცდენა მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის გატარებულ პოლიტიკებს შორის
- თითოეულ ქვეყნის პოლიტიკურ სივრცესა და მმართველობას უნდა სცეს ყველამ პატივი, რომელი ქვეყანაც არ უნდა იყოს, არ აქვს მნიშვნელობა. ყველა ქვეყანა თანასწორად უნდა იქნეს აღქმული, სწორედ ეს არის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ძირეული პრინციპი
- მნიშვნელოვანია, მოგვარდეს ქვეყნებს შორის მდგრადი თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის თავისებურებები პრობლემა. აქ გათვალისწინებული

უნდა იყოს ყველა ქვეყნის ინტერესი, არ აქვს მნიშვნელობა განვითარების რომელ საფეხურზე დგას მოცემული ქვეყანა

- ხელი უნდა შეეწყოს ეფექტურ საჯარო, კერძო და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება წარსულ გამოცდილებებზე და გაითვალისწინებს დიპლომატიურ მიდგომებსაც

ვხედავთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო პრობლემა არის მსოფლიოში არსებული სიღარიბე და უთანასწორობა. ამ მიმართულებით მუშაობს არაერთი ქვეყანა, თუ საერთაშორისო ორგანიზაცია.

რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში ?!- ე.წ საქსტატმა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც დასტურდება რომ სიღარიბის პრობლემა საქართველოშიც საკმაოდ მწვავედ დგას. 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მოსახლობის მეხუთედი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ცხოვრობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი მცირეოდენით, თითქმის შეუმჩნეველად მცირეა წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით. ასევე უნდა აღინიშნოს რომ სოფლად მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, აღემატება ქალაქში მცხოვრებთა წილს.<sup>9</sup>

რა ვითარებაა და რა ღონისძიებებს ატარებენ მსოფლიოში ამ მიმართულებით?! - შეგვიძლია აქვე მოვიყვანოთ ფილიპინების მაგალითი, რომელიც ცდილობს გაზარდოს მოქალაქეების ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის მიმდინარეობაში. მსგავსი ქმედებით უფრო მარტივი იქნება ისეთი პროექტების იდენტიფიცირება და ხელშეწყობა, რომლებიც ხელს შეუწყობს სიღარიბის დონის შემცირებას.

აქვე შეიძლება ვახსენოთ ჩილეს მაგალითიც. ის აქტიურად ცდილობს მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურებას ისეთ საკითხებში, როგორცაა გარემოსდაცვითი პრობლემები. ამ მხრივ ის ცდილობს, რომ ყველაფერი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ინფორმაცია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი.

---

<sup>9</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიური

ასევე ერთ-ერთი კარგი მაგალითია შვედეთის პრაქტიკა, რომელიც აქტიურად ცდილობს, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს ფინანსური დახმარებები. ამ ქმედების მიზანია, რომ მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს ფინანსური რესურსების გამოყენება სიღარიბის შემცირების მიმართულებით.

ასევე მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებენ ამ მიმართულებით ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: აშშ, ინდონეზია, ტანზანია და სხვა.

საინტერესოა, როგორ ებრძვის მსოფლიო ასევე ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას- უთანასწორობას. ამ მიმართულებითაც მოინახება საკმაო გამოცდილება მსოფლიო მასშტაბით და შეგვიძლია მოვიყვანოთ არაერთი მათგანი. მსგავსი პრაქტიკა არსებობს ისეთ ქვეყნებში როგორებიცაა მაგალითად: კოლუმბია, მექსიკა, ტანზანია, მაკედონია და სხვა. შეგვიძლია განვიხილოთ კონკრეტულად რამდენიმე მათგანი.

მექსიკაში ერთ-ერთი საინტერესო ნაბიჯი იყო, როდესაც გამოაცხადეს ღია რეგისტრაცია სოციალური კეთილდღეობის პროგრამების. პროგრამები მორგებულია მოწყვლად ჯგუფებზე და ხელს უწყობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. რაც შეეხება კოლუმბიას, ის მაქსიმალურად ცდილობს, გაზარდოს შ.შ.მ. პირთა წვდომა და რა თქმა უნდა ჩართულობა საჯარო სერვისებზე. სამწუხაროდ ადრეულ პერიოდში კოლუმბიაში მსგავს ჯგუფებს არ უთმობდნენ არანაირ ყურადღებას, თუმცა დღეისათვის ვითარება საგრძნობლად გამოსწორდა.



### 1.3 მდგრადი განვითარების მიღწევის მსოფლიო გამოცდილება

პირველ ეკოლოგიური პოლიტიკური პარტია, რომელიც ჩამოყალიბდა, იყო ავსტრალიის გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფი. ეს ჯგუფი შეიქმნა 1972 წლის მარტში, როგორც კაშხლების საწინააღმდეგო, დაცვის კამპანია. თუმცა, სამწუხაროდ, ამ გაერთიანებას მხოლოდ 3-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი საპარლამენტო არჩევნებში და ამიტომაც სავსებით ლოგიკურია, რომ მათ ვერ შეძლეს თავიანთი მიზნის მიღწევა და ვერ დაიცვეს პედერის ტბა, თუმცა მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, რადგან ისინი გახდნენ სტიმულის მიმცემნი მწვანეთა პარტიების ფორმირებისა მსოფლიოში.<sup>10</sup>

მწვანე იდეოლოგიის მიზანია მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბება. რას გულისხმობს მდგრადი საზოგადოება?!- ეს არის საფუძველი გარემოს დაცვის და ცხოვრების ისე განვითარების, რომ მინიმალური იყოს გარემოს დაზიანება ამ პროცესებში. მისი საყრდენი პოსტულატებიც სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარე იღებს წყაროს. შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ ეს პოსტულატები:

1. ეკოლოგია - ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მწვანე ეკონომიკის და მასზე ზრუნვდა და გაფრთხილება აუცილებლობასაც კი წარმოადგენს. გავუფრთხილდეთ ეკოლოგიურ მდგომარეობას, ეს თავისთავად მოიცავს იმ ფაქტსაც, რომ დაცული იქნება დედამიწა მომხმარებლური დამოკიდებულებისგან. უფრო რომ დავკონკრეტდეთ, ეკოლოგიური ფქტორის გათვალისწინებით, ადამიანები ბუნებრივ რესურსების გამოყენებას მიუდგებიან უფრო ეკონომიურად.
2. აქვე უნდა ვახსენოთ სოციალური სამართლიანობაც - რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს გარემოს დაცვას, ისე რომ მთელი წნეხი არ დააწვეს მხოლოდამხოლოდ ღარიბ მოსახლეობას, რადგან ამ შემთხვევაში ყოველივე ეს მიგვიყვანს სოციალურ უთანასწორობამდე;
3. მნიშვნელოვანია-მონაწილეობითი დემოკრატია - რაც გულისხმობს საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებაში

<sup>10</sup> ასოციაცია მწვანე ალტერნატივა. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. თბილისი. 2013

4. ძალადობის პრევენცია - მწვანე საზოგადოება სამშვიდობო მოძრაობების მომხრეა. რაც ეწინააღმდეგება იარაღისა და ძალის გამოყენებას.

მწვანე ეკონომიკის განვითარება არ არის პრიორიტეტული მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისთვის, ის ასევე ღრმად და აქტიურად ინერგება განვითარებად ქვეყნებშიც. შეგვიძლია, ჩამოვთვალოთ რამდენიმე მაგალითი:

- ჩინეთის განახლებადი ენერჯია- საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს განახლებადი ენერჯის სხვადასხვა წყარის ძიება. ჩინეთი ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ძალიან მალე ის შეძლებს და ძირითადი ენერჯის დაახლოებით 16%-ს განახლებადი წყაროებიდან აწარმოებს.<sup>11</sup>
- ტუნისში მზის ენერჯია- ქვეყანა მჭიდროდ არის დამოკიდებული გაზისა და ნავთობის იმპორტზე, სწორედ ამიტომ ტუნისში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახლებადი ენერჯის წინა პლანზე წამოწევის ვექტორით. ენერჯის მართვის ეროვნული ფონდის შექმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა ფონდის მიზანია განახლებადი ენერჯის მოპოვების ტექნოლოგიის აღმოჩენა და მისი აქტიური გამოყენება.
- ინდოეთში არსებული ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურა- ინდოეთში არსებული ურბანული განვითარების სამინისტროს ეგიდით ხორციელდება პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიურად სუფთა ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.
- კუბასა და უგანდაში არსებული ორგანული სოფლის მეურნეობა- მნიშვნელოვანი წარმატებაა უგანდისათვის ორგანული მეურნეობით ჩანაცვლება სტანდარტული სოფლის მეურნეობის წარმოების. ეს მომგებიანია არამხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისათვის, ასევე მდგრადი განვითარებისათვისაც, მათ ორის მოიაზრება გარემოც და რა თქმა უნდა საზოგადოებაც. რადგან მათ შესაძლებლობა მიეცათ საკვებად გამოიყენონ ჯანსაღი პროდუქტი. ეს არის ერთიანი წარმოების ის მართვის სისტემა, რომელიც დადებითად კორელირებს ეკოსისტემის სიჯანსაღეზე. ის ამცირებს

<sup>11</sup> Environment programme. Green Economy. 2020

შხამქიმიკატების, პესტიციდებისა და სასუქის გამოყენებას წარმოებაში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ უგანდა არის ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მცირე რაოდენობით სასუქს მოიხმარს.

- სამხრეთ კორეაში, კერძოდ კი ერთ-ერთ მის ქალაქში, გუმიში 2013 წელს დაიგო 12 კილომეტრი სიგრძის ელექტრონული გზა, რომელიც ავტობუსებს ენერგიით უზრუნველყოფს. შეგვიძლია, აღვწეროთ ეს ტექნოლოგია-მიწის ქვეშ არის გაყვანილი ელექტრო კაბელები, რომლებიც წამოქმნიან ელექტრომაგნიტურ ველებს, რომლებიც შემდეგ გარკვეული ტექნოლოგიის დახმარებით ელექტროენერგიად გარდაიქმნება. შეიძლება ეს პრაქტიკა დადებითად აისახოს ელექტრონული მანქანების გამოყენების საკითხზე.<sup>12</sup>

ძალიან საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ბევრ ქალაქში ხდება შენობების გამწვანების ხელის შეწყობის ფაქტები. რაც ნაწილობრივ გულისხმობს მცენარეების განაშენიანებას შენობის სახურავებზე და ხშირად მის კედლებზეც. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბევრ ქალაქში და მათ შორის: ფილადელფიაში, ვაშინგტონში, ჩიკაგოში და ასევე ნიუ იორკშიც აქტიურად გამოიყოფა ფინანსური რესურსები, რათა წახალისდეს მწვანე სახურავებისადმი მოთხოვნა ქვეყანაში. მწვანე გადახურვის სისტემა არამხოლოდ გარემოს გაჯანსაღებისთვის არის დადებითი ეფექტის მქონე, არამედ ის უზრუნველყოფს საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასაც.

მწვანე სახურავების გამოყენება არის მნიშვნელოვანი ალტერნატივა გადახურვისათვის არსებულ მასალების გამოყენებაში და ის საფუძველს იღებს 1960 წლიდან. თუმცა ის განსაკუთრებით პოპულარული ბოლო წლებში გახდა, რისი მიზეზიც გახდა მისი სარგებლიანობა.<sup>13</sup> ჩნდება კითხვა, მცენარეთა ფესვები ხომ არ აზიანებს სახურავს?!- თუმცა-არა, გამოიყენება ისეთი მცენარეები, რომელთა ფესვებიც არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში საშიშროებას. გარდა გარემოს დაცვითი სარგებლობისა, მწვანე სახურავები ასევე დადებითად აისახება სახლის კომფორტზეც. ის ზაფხულში სახლს იცავს გადახურებისგან და ინარჩუნებს

<sup>12</sup> Environment programme. Green Economy. 2020

<sup>13</sup> ლიპარტელიანი მ. მწვანე სახურავები - ეზოს თანამედროვე ალტერნატივა. თბილისი, 2018

ნორმალურ ტემპერატურას, ზამთარში კი პირიქით, სითბოს შენარუნებას უზრუნველყოფს. (მ. ლიპარტელიანი 2018)

მწვანე სახურავების მცირეოდენი პრაქტიკა არსებობს საქართველოშიც, თუმცა ამ თემის განხილვას საქართველოს შესახებ საუბრისას დავუბრუნდეთ.

მწვანე ეკონომიკის იდეა აქტიურად ვრცელდება თითქმის მთელს მსოფლიოში და ამ პროცესში ჩართულია მეტნაკლებად თითქმის ყველა ქვეყანა. 300 პროცენტით გაიზარდა კვლევებისთვის და ამ მიმართულებით განვითარებისთვის განკუთვნილი ბიუჯეტი 2019 წელს. ეს ქმედება განხორციელდა ევროკავშირის მიერ. აქვე შეიძლება ვისაუბროთ ჩინეთზეც, რომელმაც 34 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო სუფთა ენერჯის დაფინანსებისთვის 2010 წელს. ამ ნაბიჯით ჩინეთმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს და პირველი გახდა მსოფლიოში განახლებად ენერგოტექნოლოგიურ დარგებში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით. დიდ ხუთეულში ადგილი ეკუთვნით ასევე: დიდ ბრიტანეთს, ესპანეთს და ბრაზილიას.<sup>14</sup>(ნ. ტალიკაძე 2019)

არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე ნათელია, რომ მსოფლიოს არაერთი ქვეყანაა ჩართული მწვანე ეკონომიკის დანერგვის საკითხში. ზოგადად მწვანე ეკონომიკა 21-ესაუკუნის უპირატესი ბიზნესშესაძლებლობაა. მოგვეხსენება, მსოფლიოში რესურსების რაოდენობა იგივე რჩება ან მცირდება, თუმცა მოსახლეობის რაოდენობა დღითიდღე უფრო და უფრო იზრდება და შესაბამისად საჭირო ხდება გარკვეული ღონისძიებების გატარება. და სწორედ რომ ამ მიზანს ემსახურება მწვანე ეკონომიკა და ამიტომაც ის დღეისათვის ისეთი აქტუალობით სარგებლობს, როგორც არასდროს.

მსოფლიოში ინვესტორთა უმრავლესობა დაინტერესებული იყო მხოლოდ ფინანსური მოგებით. თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოხდა ფასეულობათა მნიშვნელოვანი გადაფასება და სიტუაცია შეიცვალა. დღეისათვის ინვესტორებს ფინანსური საზომების გარდა აინტერესებთ ასევე ეკოლოგიური საზომებიც. ბოლო ათწლეულში აქტუალური გახდა გარემოსდაცვით და

---

<sup>14</sup> ტალიკაძე ნ. 2019. კონფერენცია- „ ეკონომიკა – XXI საუკუნე “

სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული ინვესტირება. გლობალური მდგრადი ინვესტირების ალიანსის (GSIA) კვლევის მიხედვით 2016 წელს აქტივების 26%-ს „სოციალურად პასუხისმგებლიანი ინვესტიციები“ წარმოადგენდა, რაც ევროკავშირის კომისიის მიხედვით ორ მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს:

1. ფინანსების ისეთი პროექტებში დაბანდებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მდგრად და ასევე ინკლუზიურ ზრდას
2. ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესებას საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური, გარემოსდაცვითი და ასევე მმართველობითი ფაქტორების გათვალისწინება.

საინტერესოა, რომ მკვლევარები, რომლებიც შეისწავლიან მდგრად განვითარებას, მნიშვნელოვან კორელაციას პოულობენ კომპანიის ფონდების მდგომარეობასა და კორპორაციის დამოკიდებულებას შორის, რაც გააჩნია კომპანიას გარემოს, თანამშრომლებისა და მმართველობასთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს უდიდესი საინვესტიციო ფირმის, BlackRock-ის 2018-2019 წლის ინვესტირების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მიზანიც მდგრადი ინვესტირება გახდა. BlackRock-ის აღმასრულებელი დირექტორი, ლარი ფინკი თავის კოლეგებს ყოველწლიური წერილით მიმართავს: „ის ფულადი სახსრები, რომელთაც ჩვენ განვკარგავთ ჩვენ არ გვეკუთვნის, ეს ფული ეკუთვნით მომხმარებლებს ათეულობით ქვეყნიდან. რომლებიც ცდილობენ, ფული ისეთი გრძელვადიანი მიზნებისთვის დააბანდონ, როგორცაა მაგალითად- პენსია. ვინაიდან ჩვენ გვაქვს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა მსგავსი ინდივიდებისა და ინსტიტუციების წინაშე, ჩვენ ვალდებულნი ვართ, ხელი შევუწყოთ გრძელვადიან ღირებულებებს.“ ამ სიტყვებში ყოველივე ნათლად ჩანს, BlackRock საინვესტიციო ფირმა უპირატესობას ანიჭებს გრძელვადიან მიზნებსა და არა მოკლევადიან ინვესტიციებს.

BlackRock საინვესტიციო ფირმა არ არის ერთადერთი, ვინც დაინტერესებულია გრძელვადიანი მიზნებით და იბრძვის მდგრადი განვითარებისთვის. პირველ ნაწილში ვნახეთ, თუ რა პრობლემების წინაშე დგას

მსოფლიო, უპრიანი იქნება, თუ განვიხილავთ, როგორ ებრძვის მსოფლიო მიმდინარე გამოწვევებს და ისწრაფის მდგრადი განვითარებისკენ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც მთელს მსოფლიოს ეხება, როგორც ზემოთ ავლინებით, არის ნიადაგის დეგრადაცია სხვაგვარად რომ ვთქვათ აღნიშნული პრობლემა ზოგიერთ ქვეყანაში გაცილებით მწვავეა და მას გაუდაბნოების პრობლემასაც კი უწოდებენ. ამ მიმართულებით მუშაობს ისევე როგორც ცალკეული ქვეყნები, ასევე რიგი მსოფლიო ორგანიზაციები.

1994 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოსცა კონვენცია გაუდაბნობასთან ბრძოლის შესახებ (UNCCD), რომლის მეშვეობითაც 122-მა ქვეყანამ მიიღო ვალდებულება მიწის დეგრადაციის ნეიტრალიზაციის ხელშეწყობის შესახებ. ეს ვალდებულებები მოიცავს, ფერმერთა ხელშეწყობას, რათა დაცული იყოს მათი სახნავი მიწები და დაეხმარონ მათ ამ მიწების გამოყენებაში. ასევე მნიშვნელოვანია, მონაწილეობა მიიღონ დეგრადირებული მიწის აღდგენასა და წყალმომარაგების უფრო ეფექტურად მართვაში.

UNCCD-მა ასევე ხელი შეუწყო მწვანე კედლის ინიციატივა 2030-ს, რომელიც მოიცავს 100 მილიონ ჰექტარსა და 20 ქვეყანას აფრიკაში. სადაც უნდა გაშენდეს მწვანე საფარი. რაც გამოაცოცხლებს მიმდებარე ტერიტორიებს. ანალოგიური ძალისხმევა მიმდინარეობს ჩინეთში, სადაც მთავრობამ გობის უდაბნოს საზღვრის გასწვრივ დარგო ხეები, რათა მიწის აღდგენას შეუწყონ ხელი. მათი გათვლებით გაფართოვდება სოფლის მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწები, ასევე გაჩნდება საძოვრები, რაც თავის მხრივ განავითარებს მეცხოველეობას.

ასევე უპრიანი იქნება თუ აქვე ვისაუბრებთ ისეთ მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსზე როგორცაა: ხე-ტყე. ტყეები ფარავს დედამიწის ზედაპირის 30,7 %-ს და გარდა საკვების უსაფრთხოების და თავშესაფრით უზრუნველყოფისა, ისინი უმთავრესი არიან კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მკვიდრი მოსახლეობის სახლების დასაცავად. ნიშნელოვანი ნაბიჯები გადაიდა ტყეების დასაცავად. ამჟამად არსებობს ორი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც ხელს უწყობენ რესურსების

გამოყენების რეგულირებას. ასევე, ბიომრავალფეროვნების მხარდასაჭერად გათვალისწინებულია ინვესტიციები.

2030 წლისთვის იგეგმება, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მთის ეკოსისტემების კონსერვაცია, მათი ბიომრავალფეროვნების ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების გაზრდას იმ სარგებლის მიღების მიზნით, რაც აუცილებელია მდგრადი განვითარებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ბრაკონიერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ზოგადად, მწვანე პროექტების განვითარება მოითხოვს ძალიან დიდ ფინანსურ მხარდაჭერას. რეალურად, ძალიან რთულია ზუსტად დაანგარიშება იმ ფინანსური რესურსის, რაც საჭიროა მსოფლიო ეკონომიკის მწვანე რელსებზე გადასყვანად, თუმცა არსებობს არაერთი კვლევა, რომლებიც გვიჩვენებს დაახლოებით რიცხვებს, კონკრეტული მიმართულებების განვითარებისათვის.

მაგალითად, არსებობს კვლევა CO<sub>2</sub>-ის ატმოსფეროში გამოყოფის შესამცირებლად დაახლოებით რა რესურსებია საჭირო. კვლევა ჩაატარა საერთაშორისო ენერჯეტიკულმა სააგენტომ Blue Map-მა. აქ ნაჩვენებია, რომ CO<sub>2</sub>-ის ატმოსფეროში გამოყოფის შესამცირებლად საჭიროა 46 ტრილიონი დოლარი 2050 წლამდე.

ასევე არსებობს სხვა კვლევებიც, მაგალითად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმისა და loomberg New Energy Finance-ის კვლევებით სუფთა ენერჯეტიკაში ინვესტიციები უნდა გაიზარდოს წელიწადში 500 მილიარდი ამერიკული დოლარით, რათა გლობალური დათბობა შემცირდეს ორი პროცენტით.

ერთ-ერთი ბრიტანული ბანკის HSBC-ის კვლევით ენერჯეტიკის ისეთი მიმართულების განვითარებისათვის, რომ ნახშირბადი ნაკლებად გამოიყოს უნდა დაიხარჯოს 10 ტრილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი.

ბლუმბერგმა აღადგინა იმ ბანკების რეიტინგი, რომლებმაც ბოლო დროს განახორციელეს დიდი ინვესტიციები მწვანე ეკონომიკის განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი განახლებად ენერჯიაში. ერთ-ერთი ლიდერები ამ სფეროში არიან: ევროპის, აზიისა და ამერიკის, ასევე ავსტრალიის მსხვილი საფინანსო ორგანიზაციები. მათ შორის შეიძლება გამოიყოს ესპანური

და იტალიური ბანკები. კერძოდ, „Santander“, „Bank of America-მა“ და „Intesa Sanpaolo-მ“. რაც შეეხება აზიურ ბანკებს, აქ შეიძლება გამოვყოთ იაპონური ფინანსური ორგანიზაცია- „Mitsubishi Financial Group“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეულმა ორგანიზაციამ, რომლებიც მოხვდნენ ამ სიაში, განახორციელეს 1 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი ღირებულების ინვესტიციები ამ მიმართულებით.

საერთაშორისო ორგანიზაციის UNEP-ის მონაცემებით, 2014 წელს განახლებად ენერჯიაზე დახარჯული ინვესტიციები შეადგენდა 270 მილიარდ ამერიკულ დოლარს და მას შემდეგ ყოველ წელს იზრდება. ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მოდის ევროპას, ჩინეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე. შემდეგი წილებით: ჩინეთი-31 პროცენტი, ევროპა-21 პროცენტი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები 14 პროცენტი.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მდგრადი განვითარება შეეხო ისეთ ეკონომიკურ საქმიანობასაც, როგორცაა- მოდის ინდუსტრია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ არამხოლოდ კავშირი აქვს მოდის ინდუსტრიას მწვანე ეკონომიკასთან, არამედ ის მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშეც კი დგას ამ მიმართულებით. მოდის ინდუსტრია მდგრადი განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგას. მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის ინდუსტრიის მიერ წყლის მოხმარების დონე გაიზრდება 50%-ით, რაც შეადგენს 118 მილიარდ მ3 (31.17 ტრილიონი გალონი) წყალს, მისი ნახშირბადის ნაკვალევი გაიზრდება 2,791 მილიონ ტონამდე, ხოლო ნარჩენების რაოდენობა მიაღწევს 148 მილიონ ტონას. რაც საკმაოდ საგანგაშო მონაცემებია.

ბოლო ხანებში არაერთმა ცნობილმა ბრენდმა და ასევე საცალო მოვაჭრემ დაიწყო მდგრადი მიდგომების დანერგვა მოდის ინდუსტრიაში. კერძოდ, მათ წამოიწყეს ე.წ. მდგრადი ბამბის ინიციატივა, რაც გულისხმობს წყლის, ენერჯიისა და ქიმიური ნივთიერებების გამოყენების შემცირებას წარმოებაში. შედეგმაც არ დააყოვნა და 2012 წლის შემდეგ, დიდ ბრიტანეთში საცალო მოვაჭრეების ნახშირბადისა და წყლის ნაკვალევი ტანსაცმლის თითო ტონის მიხედვით 8 და 7%-ით შემცირდა.



მიუხედავად იმისა რომ მოდის ინდუსტრიამ მნიშვნელოვნად გადადგა წინ ნაბიჯები მწვანე ეკონომიკის ანერჯისათვის, მაინც იჩინა თავი ახალმა პრობლემამ-მოხმარებამ. დიდი ბრიტანეთის მაგალითი რომ ავიღოთ, გაუმჯობესებულმა ეკო სამოსმა გაცილებით მეტი მომხმარებელი მიიზიდა და 2012 წლის შემდეგ 10 პროცენტით გაიზარდა შექმნილი სამოსის რიცხვი. პრობლემაა ასევე ის, რომ ეს სამოსი არ გამოიყენება მიზანშეწონილად. დიდი ბრიტანეთში დაახლოებით 30 მილიარდის ღირებულების სამოსი არის გამოყენებული. უმეტესად ეს არის ცნობილი დიზაინერების სამოსი, რომლებიც ბოლო 12 თვის განმავლობაში არავის ცმია და ინახება გარდერობებში.

თუმცა, ეთიკური მოხმარება, სამწუხაროდ, პრაქტიკულ დონეზე ვერ განხორციელდა მოდის ინდუსტრიაში. თავად ბრენდები, რომელთაც სურთ მდგრადი მიდგომების დანერგვა თავიანთ საქმიანობაში, ერთ-ერთ ბარიერად სწორედ მომხმარებლებს ასახელებენ, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს, ცნობიერების დაბალი დონით, ან მდგრად პროდუქტში მეტი თანხის გადახდის სურვილის არქონით.

მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი, რომელიც გულისხმობს მშვიდობის, სამართლიანობისა და ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, ყურადღებას ამახვილებს თანამშრომლობის კონცეფციაზე როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნულ დონეზე. მე-16 მიზანი, ერთგვარად, საყრდენია მე-17 მიზნისთვის, რომელიც კონცენტრირებულია, აგრეთვე, საერთო მიზნებისთვის თანამშრომლობაზე. თანამშრომლობა, როგორც საერთო ინტერესებისთვის ერთობლივი ქმედება, მდგრადი განვითარებისა და მდგრადი მშვიდობის საწინდარია. შესაბამისად, სახელმწიფოთა სწრაფვას მდგრადი განვითარებისკენ (რაც, აგრეთვე, გამოიხატება ბუნებრივი გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაში) თუ მივაკუთვნებთ საერთო ინტერესებს, დასტურდება, რომ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის მოგვარების გზა სწორედ მდგრად განვითარებაზე გადის. მშვიდობის პარკები კი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს მწვავე შეირადებული დაპირისპირებები ისე, რომ

თავიდან ავირიდოთ მსხვერპლი, ვუზრუნველყოთ ბუნებრივი გარემოს დაცვა და ხელი შევუწყოთ მდგრად განვითარებას.

შეგვიძლია, განვმარტოთ, თუ რა არის მშვიდობის პარკი. საერთაშორისო ორგანიზაციის „ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის“ განმარტებას თუ მოვიშველიებთ,- მშვიდობის პარკი არის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორია, რომელიც ფორმალურად იქმნება ბუნებრივი, ბიომრავალფეროვნების და მასთან დაკავშირებული კულტურული რესურსების შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, ასევე მშვიდობის ხელშეწყობისა და თანამშრომლობისთვის. (Sandwith 2001)

პირველი მშვიდობის პარკი ოფიციალურად ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნეში. მიუხედავად გაზრდილი ინტერესისა, პირველ მსოფლიო ომამდე მშვიდობის პარკები არ ჩამოყალიბებულა. მხოლოდ 1925 წელს პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც სასაზღვრო კონფლიქტის მოგვარების მიზნით ითვალისწინებდა პიენინის მთებში მშვიდობის პარკის ჩამოყალიბებას. თუმცა, აღნიშნულმა ქვეყნებმა ამის განხორციელება 1936 წლამდე ვერ მოახერხეს, ამიტომაც პირველ მშვიდობის პარკად ითვლება 1932 წელს შექმნილი „ვატერტონ–გლასიერის მშვიდობის პარკი“ კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. (Ostrowski 2010)

მშვიდობის პარკის ჩამოყალიბებისთვის უდა დაკმაყოფილდეს სამი კრიტერიუმი:

1. დაცული ტერიტორია უნდა მდებარეობდეს საზღვრის მახლობლად იმ არეალში, რომელიც საჭიროებს ბუნების კონსერვაციას
2. სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკური მზაობა და სურვილი, რომ ითანამშრომლონ საზიარო ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის
3. აუცილებელია საგარეო დახმარების არსებობა: საერთაშორისო სააგენტოები და არასამთავრობო ორგანიზაციები მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ მშვიდობის პარკების ჩამოყალიბების პროცესში: ძირითადად, ისინი ეხმარებიან ქვეყნებს ფინანსურად და ტექნიკურ საკითხებში.

კორდილერა დელ კონდორის მთიანი სისტემის ირგვლივ არსებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ეკვადორისა და პერუს საერთო საზღვარზე, წარმოადგენს მშვიდობის პარკის წარმატებულ მაგალითს. მიუხედავად იმისა, რომ ბიომრავალფეროვნებით მდიდარი რეგიონი დავის საგანი, ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნეში გახდა, მრავალწლიანი დაპირისპირებების შემდეგ, მხოლოდ 1995 წელს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ საზღვრის გატარებაზე, ალტერნატივის სახით, მათ აღნიშნული ტერიტორია ბუნების კონსერვაციის ზონად გამოაცხადეს, სადაც როგორც ეკვადორის, ასევე, პერუს მიერ ჩამოყალიბდა მშვიდობის პარკები. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით კი მათ შეძლეს საერთო ეკოლოგიური მართვის სისტემის შექმნა. (Ali 2010) დაწყებული თანამშრომლობა 2004 წელს აისახა კონსერვაციის კორიდორის დაარსებაში, რამაც კონფლიქტის გარემოსდაცვითი მდგრადი მეთოდებით მოგვარებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად გაამყარა სახელმწიფოთაშორისი კეთილმეზობლური ურთიერთობები. (Alcalde, Ponce, & Curonisy, 2005)

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში მდგრადი ინვესტიციების მოცულობა დაახლოებით 8 ტრილიონი აშშ დოლარს შეადგენს. და ეს მონაცემი სულ უფრო და უფრო იზრდება, რადგან იზრდება იმ ინვესტორთა რიცხვი, რომლებიც მდგრად ფაქტორებს აქცევენ მნიშვნელოვან ყურადღებას. Morgan Stanley-ს მიხედვით ინივიდუალური ინვესტორების 75%-ს სურს მდგრადი განვითარების ინტეგრირება მოახდინონ თავიანთი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. ტრადიციულად მდგრად განვითარებას უფრო დიდ ყურადღებას ქალბატონები უთმობდნენ, თუმცა ბოლო პერიოდში მამაკაცი ინვესტორებიც აქტიურად ითვალისწინებენ მდგრადი განვითარების საკითხებს საკუთარ საინვესტიციო პორტფელში. მოელიან, რომ მდგრადი ინვესტიციების მოცულობა 24 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს. განიხილება ურთიერთკავშირი ყოველთვიური ფონდების ნაკადებსა და Morningstar-ის მდგრადობის შეფასების სისტემას შორის.

საინტერესოა, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებებს უმეტესად ინვესტორები. განვიხილოთ Morningstar-ის მაჩვენებლები ყოველთვიური ფონდის ნაკადებთან მიმართებით, ესენია:

1. Morningstar- ის მდგრადობის შეფასების დონე
2. პორტფელის შეფასებას ESG-ის მიხედვით
3. პორტფოლიოს მდგრადობასთან დაპირისპირების შედეგების დონე.

რეგრესული მოდელის გამოყენების საფუძველზე, შესაძლებელია დავთვალოთ თითოეული ფაქტორის გავლენა ფონდების ორგანული ზრდის ტემპზე იმ პირობებში, როდესაც ერთ-ერთი მაჩვენებელელი ცვლადია, დანარჩენი კი მუდმივი. მაგალითად, ფონდი, რომელსაც აქვს „სტანდარტული გადახრა 1“, ზრდის თავის აქტივებს მენეჯმენტის პირობებში და აქვს 0.4% –ით დაბალი მოსალოდნელი გასავლები თვეში.

პირველი საზომი იმისა, თუ როგორ პასუხობენ ინვესტორები მდგრადობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას არის Morningstar- ის მდგრადი რეიტინგები, რომელიც ცნობილია როგორც საყოველთაო შეფასების გლობალური სისტემა. 2016 წლის მარტში, Morningstar-მა გამოაქვეყნა სქემა, რათა დახმარებოდა ინვესტორებს შეეფასებინათ თავიანთი პორტფელები მდგრადი ინვესტიციების გადასახედიდან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ნაშრომი “ინვესტორები აფასებენ მდგრადობას? ბუნებრივი ექსპერიმენტის შემოწმების რანჟირებისა და ფონდის ნაკადების შესახებ”, რომლის მიხედვითაც სამუელ ჰარცმარკმა და აბიგაილ სუსმანმა აღმოაჩინეს, რომ ფონდის ნაკადები უკავშირდება ექსტრემალურ გლობალურ რეიტინგს, კერძოდ 1-ს ან 5-ს.

აუცილებელია, აქვე ვისაუბროთ ბიოპროდუქტებთან დაკავშირებულ სიახლეებზე მსოფლიო მასშტაბით. ბიოპროდუქტი იგივეა, რაც ორგანული პროდუქტი. ძირითადი მახასიათებელი, რაც აქვს მსგავს პროდუქტს არის ის რომ მის წარმოებაში არ გამოიყენება ქიმიური საშუალებები. რაც ნიშნავს იმას, რომ ორგანული პროდუქტები ეკოლოგიურად არის აბსოლუტურად სუფთა.

რა პრობლემებს ვაწყდებით ბიოპროდუქტებთან დაკავშირებით?!-  
საშუალოდ ბიოპროდუქტები სხვა პროდუქტებთან შედარებით 47 პროცენტით უფრო ძვირია და შესაბამისად გათვლილია მაღალშემოსავლიან ოჯახებზე. მათზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელ წლებში ბიოპროდუქციის მსოფლიო ბაზარი მნიშვნელოვნად მოდიფიცირდება. ადრე ბიოპროდუქციის შექმნა მხოლოდ ელიტარულ მომხმარებელს შეეძლო, დღეს კი უკვე გაჩნდა ამ პროდუქციით რიგითი მომხმარებლის დაინტერესების ტენდენცია და გაიზარდა კონკურენციაც.

პირველი ქვეყანა, სადაც გაჩნდა ორგანული სოფლის მეურნეობა არის გერმანია. დღეისათვის ამ ტიპის წარმოებით ქვეყანა დგას მე-9 ადგილზე მსოფლიოში. ხოლო მესამე ადგილს იმკვიდრებს ევროპაში. უნდა ითქვას, რომ გერმანიაში 826 ათას ჰექტარზეა გაშენებული ორგანული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

პირველ ადგილს ევროპაში იკავებს იტალია. აქ უკვე სოფლის მეურნეობის სავარგულებს მოიცავს თითქმის 1,1 მლნ ჰექტარი. იტალიაში ბიოპროდუქტები გამოიყენება ძირითადად შიდა მოხმარებისათვის. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, დაახლოებით წარმოებული ორგანული პროდუქციის 80 პროცენტს იტოვებს შიდა მოხმარებისათვის. იმპორტით სარგებლობს ძირითადად ისეთი პროდუქტების, როგორებიცაა: კარტოფილი, სხვადასხვა ხილი, და მათ შორის კივი, ნაკლები ოდენობის ბარდა, ხორბალი, წვენი კონცენტრატები და სხვა. დიდი თანხები იხარჯება ბიოპროდუქტების სფეროში ახალ გამოკვლევებზე. მაგალითისათვის, გერმანიაში Thünen-ის ინსტიტუტი სპეციალიზირებულია უშუალოდ ორგანული მეურნეობისა და ჯანსაღი საკვების განვითარებისთვის სიახლეების ძიებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის მსოფლიოში პრიორიტეტული გახდა მდგადი განვითარების უზრუნველყოფა. ეს შეეხო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს თითქმის ყველა ქვეყანაში. ინვესტორთათვის პრიორიტეტი არამხოლოდ ფინანსები, არამედ ეკოლოგიური უზრუნველყოფა და მდგრადობაც

გახდა. რა თქმა უნდა მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი გამოწვევები თან სდევს, თუმცა დღეისათვის მსოფლიო ცდილობს გაუმკლავდეს ყველა ამ გამოწვევას და შექმნას უკეთესი მომავალი, ისე რომ საფრთხე არ შეუქმნას გარემოს. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში. რომელ პოზიციაზე ვართ დღეს და რეალურად რომელზე გვინდა რომ ვიყოთ ხვალ.

## თავი II. მწვანე ეკონომიკა - გლობალური გამოწვევა და საქართველო

### 2.1 მწვანე ეკონომიკის განვითარების ასპექტები საქართველოში

უპრიანი იქნება თუ ვნახავთ, როგორ განიმარტება საქართველოს სამინისტროების მიერ ცნება:- „მდგრადი განვითარება“.

მდგრადი განვითარება არის ერთ-ერთი სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის კეთილდღეობის ზრდაზე, თუმცა მნიშვნელოვანი პირობაა, რომ არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ საზოგადოების ეკონომიკური განვითარება და გარემოს დაცვის ინტერესები. ზოგადად მდგრადი განვითარება მნიშვნელოვან წილად ითვალისწინებს მომავალი თაობის ინტერესებს, და მისი ძირითადი დევიზია, რომ მომავალ თაობებს უნდა შევუნარჩუნოთ გარემო ისეთივე სახით, ან უკეთესი, ვიდრე ის დღეს ჩვენ გვაქვს, ვხედავთ, რომ საქართველოში განმარტება ცნების:- „მდგრადი განვითარება“-იდენტურია სხვა ქვეყნების მიერ მოცემული განმარტებისა.<sup>15</sup>

ზოგადად, მდგრადი განვითარების ინტერესები მოიცავს არამხოლოდ მოკლევადიან მიზნებს, არამედ საშუალო და გრძელვადიან მიზნებსაც. მეტიც, ის უპირატესობას ანიჭებს სწორედ გრძელვადიან კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საკითხებს. მისი მთავარი პრინციპია, რომ საზოგადოებამ ისე უნდა დაიკმაყოფილოს დღევანდელი მოთხოვნილებები, რომ ამან ხელი არ შეუშალოს მომავალში სხვათა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აქაც ისევ იკვეთება მომავალი თაობებისადმი მაღალი პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება.

საქართველომ მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რაც მიზნად ისახავს ამ გაერთიანებაში ეკონომიკური ინტეგრირებისა და პოლიტიკური ასოცირების ხელშეწყობას. რას ითვალისწინებს ეს ხელშეკრულება?!- ის ითვალისწინებს საქართველოს როლის ზრდას ევროკავშირის

---

<sup>15</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მდგრადი განვითარება

სტრატეგიებში ჩართულების მხრივ, ასევე საქართველოს აქტიურ ჩართულობას პროგრამებსა და ორგანიზაციებში; ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ გრძელვადიანი პერიოდით და მათი მთავარი მიზანი იქნება მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების გრძელვადიანი მიზნების განხორციელება. უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობებისა და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის შესახებ ინფორმაცია შეგვიძლია, ვიხილოთ საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ე.წ. „საქართველო 2020-ში“.<sup>16</sup>

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება ეკონომიკური განვითარების პროცესში საქართველოსთვის, ისევე როგორც დანარჩენი ქვეყნებისათვის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებაა, ასევე ეკოლოგიური სიჯანსაღის და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ასევე, მნიშვნელოვანია, ბუნებრივი კატასტროფების რისკების მინიმუმამდე დაყვანა ან საერთოდაც თავიდან არიდება.

დედამიწაზე იზრდება მოსახლეობის რაოდენობა და შესაბამისად მეტია ადამიანური ზემოქმედება გარემოზე. ბოლო წლებში აღინიშნება ტემპერატურის მატება დედამიწაზე. რაც იწვევს მიწის მუდმივ დეგრადაციას, ამ მიწების უმრავლესობა კი ოდესღაც ნაყოფიერი იყო. სამწუხაროდ, დღეისათვის დეგრადირებული მიწების პროცენტული წილი 40 %-ს შეადგენს.<sup>17</sup>(C. Nunez 2019)

გაუდაბნობის რისკი ფართოდაა გავრცელებული და ეს რისკი 100-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს. უმეტესად ამ ქვეყნებში ცხოვრობენ ღარიბი მოსახლეობა. მსოფლიო ორგანიზაციები მოელიან რომ 2050 წლისათვის დეგრადირებული მიწების პროცენტული წილი 90 %-ს მიაღწევს. მსგავი პრობლემები ყველაზე მეტად შეეხება აფრიკასა და აზიას.

როდესაც სახელმწიფო ან საზოგადოება იღებს გადაწყვეტილებას, აუცილებელია, რაციონალობის შეფასება, ასევე ეკოლოგიური პრობლემებისა და სოციალური საკითხების გათვალისწინება. ამ საკითხების გარეშე ვერ მიიღწევა

---

<sup>16</sup> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მდგრადი განვითარება

<sup>17</sup> Cristina Nunez 2019. National Geographic. Desertification, Explained



ადამიანის კეთილდღეობა. ამისათვის კი აუცილებელია, წახალისდეს მწვანე ეკონომიკა, ეს დარგი წარმოადგენს ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. მწვანე ზრდის წახალისება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესის განვითარების საკითხშიც.

2016 წელს საქართველო გახდა თანამოაზრე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მწვანე ზრდის დეკლარაციისა, რომლის უპირველესი მიზანია სხვადასხვა ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება, მწვანე ეკონომიკის დანერგვისათვის. მოცემული დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად მუშაობს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავებაზე და ასევე მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტების შედგენაზე. მათი ძირითადი მიზანია საქართველოს მდგრად რელსებზე დაყენების ხელშეწყობა და მისი ეკონომიკის მოდიფიცირება მდგრადი განვითარების შესაბამისად.<sup>18</sup>

საქართველო დღესდღეობით თანამშრომლობს არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, მათ შორის არიან დონორი და განმახორციელებელი ორგანიზაციები. ამ დროისთვის საქართველოში სწორედ მათი მხარდაჭერით მიმდინარეობს 60-ზე მეტი მნიშვნელოვანი პროექტი. ეს პროექტები მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- მწვანე ეკონომიკის დანერგვა
- ატმოსფერული ჰაერის დაცვის უზრუნველყოფა
- წყლის რესურსის რაციონალური მართვა
- გარემოსდაცვითი მმართველობა
- რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- ტყის რესურსის გონივრული მართვა
- დაცული ტერიტორიების კონტროლი
- ქიმიური ნივთიერებები და ნარჩენები
- ბიომრავალფეროვნების პირველსახის შენარჩუნება

---

<sup>18</sup>საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა შესამე ეროვნული პროგრამა. თბილისი. 2017

- კლიმატის ცვლილების პრობლემის აღმოფხვრა
- მიწის რესურსების ეფექტური მართვა და სხვა

ეს პროექტები განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია საქართველოში მდგრადი განვითარების დანერგვის საკითხისათვის.


მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 7 მილიარდს აღწევს ეს ტენდენცია ეჭვგარეშედ მზარდია.<sup>19</sup> (R. Haynes 2017) გასაკვირი არ არის, რომ ამ ფონზე იზრდება მოსახლეობის მოთხოვნა სხვადასხვა რესურსზე და მათ შორის წყალზე, ენერჯიაზე, საკვებსა და ნედლეულზე და ასე შემდეგ. მკვლევართა შეფასებები არც ისე სახარბიელოა ამ საკითხთან დაკავშირებით. თეორეტიკოსები საუბრობენ, რომ საზოგადოება არარაციონალურად იყენებს როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ და საერთო სარგებლობის მქონე რესურსებს. ესეიგი საუბარია როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო საქონელზეც. მეცნიერების ნაწილის ვარაუდით, მოსახლეობის რაოდენობის მსგავს მატებასა და რესურსების გაზრდილ მოხმარებას შორის უარყოფითი კორელაცია სულ უფრო იზრდება და შესაბამისად ეკონომიკური თუ ეკოლოგიური ზარალი გარდაუვალი იქნება.

ინდუსტრიალიზაციის შემდეგ უფრო მკაფიო გახდა გარემოს მდგომარეობის გაუარესება. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში. განხილვა დავიწყოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ყველაზე საჭირო რესურსით, რომელიც აუცილებელია ადამიანისთვის არსებობისათვის და მეტიც, მის გარეშე რამდენიმე წუთით თუ შევძლებთ ცხოვრებას. დღესდღეობით მეტისმეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

---

<sup>19</sup>Richard w. Haynes. 2017. An analysis of the timber situation in the United States


მავნე ნივთიერებები, რომლებიც წარმოიქმნება ატმოსფეროში(ათასი ტონა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ 2010 წლიდან 2014 წლის ჩათვლით მავნე ნივთიერებების აშკარა ზრდას აქვს ადგილი ატმოსფეროში. ვითარება იცვლება 2015 წელს და მონაცემები იწყებს კლებას, და თან საგრძნობლად. ამის შემდეგ მონაცემი ისევ არასტაბილური ხდება. ეს დიდ წარმოადგენს ისევე როგორც გარემოსთვის, ასევე საზოგადოებისთვისაც. შეგვიძლია, მოცემული ინფორმაცია განვიხილოთ რეგიონების ჭრილშიც.

სტაციონალური წყაროებიდან ქვეყნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში რეგიონების წილი(2017)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინტერესოა, რა სიმძიმის გავლენა აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას ადამიანის მდგომარეობაზე. ატმოსფერული ჰაერის ცირკულაციამ შეიძლება, გავლენა მოახდინოს:

- ნიადაგის მდგომარეობაზე
- კლიმატის ცვლილებებზე
- მდინარეებზე
- ფლორასა და ფაუნაზე
- ცოცხალ ორგანიზმებზე და სხვა


დიდი ფიქრი არ არ არის საჭირო იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ თითოეული ზემოთჩამოთვლილი მნიშვნელოვნად განაპირობებს გარემოსა და ადამიანის მდგომარეობასა და სიჯანსაღის მაჩვენებელს. ადამიანის ყოველდღიურობაში ვხვდებით თითოეულ მათგანს და შესაბამისად ფაქტორები საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია წყლის რესურსი. მდინარეების დაბინძურება არამხოლოდ სასმელი წყლის ხარისხს აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, არამედ მნიშვნელოვნად აზარალებს მიბინადრებსაც. ასე ისევ და ისევ ადამიანის ჯანმრთელობისთვის შექმნილ საფრთხეს ვუბრუნდებით, რადგან უმეტესწილად სწორედ ამ ზღვის პროდუქტებს მიირთმევს საზოგადოება.

ასევე გასათვალისწინებელია ადგილობრივი კლიმატური პირობების რადიკალური ცვლილებების პრობლემა. რაც ხშირად არის ტყის რესურსის განადგორების პირველწყარო და მსგავსი მაგალითები გვაქვს საქართველოშიც. საქართველოში ტერიტორიების დაახლოებით 40 პროცენტს მოიცავს ტყე და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული რესურსი ქვეყნისათვის. თუმცა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მცირდება ტყის ფართობები საქართველოში.

ჯანსაღი გარემოს არარსებობა რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობასა და ყოფაზე. შედეგი არის უამრავი დაავადება, რომელთაგან ზოგიერთის პრაქტიკა ჯერ არ ჰქონია მსოფლიოს, ზოგიც ძველის

მოდიფიკაციაა და ასე შემდეგ. ასე ვაწყდებით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას-მოკვდაობის კოეფიციენტის ზრდას.

### მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი



**წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

მარტივი შესამჩნევია, რომ მოცემულ ნახაზზე დაყრდნობით მოკვდაობის კოეფიციენტი სტაბილურად მზარდია 2010 წლის ჩათვლით. 2010 წლის შემდეგ კი იწყებ კლებას. ამის შემდეგ მაქსიმალურ წერტილს აღწევს 2016 წელს, ამის შემდეგ კი საბედნიეროდ კლების ტენდენცია აღინიშნება. თუმცა, ტენდენცია მაინც საკმაოდ მაღალია და ფაქტია, რომ უნდა გატარდეს გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებს მოკვდაობის კოეფიციენტს საგრძნობლად.

ვინაიდან ვსაუბრობთ მოკვდაობის კოეფიციენტის შესახებ, კარგი იქნება თუ ვისაუბრებთ ისეთ აქტუალურ საკითხზე- როგორცაა, გენმოდიფიცირებული საკვები. ზოგადად მონეტას ორი მხარე აქვს და შესაბამისად ამ საკითხთან დაკავშირებითაც არსებობს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა. ძირითად მოსაზრებებში იყოფა ორი მიმართულებით: საზოგადოების ნაწილი, რომლის აზრითაც გენმოდიფიცირებული საკვები საზიანოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის და

მეორე ნაწილი, რომელიც თვლის რომ გენმოდირეცირებული საკვების მიღება პრობლემას არ წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩავატარა მცირედი კვლევა თბილისში. ჩემი მიზანი იყო, გამეგო იყო თუ არა საზოგადოება ინფორმირებული სრულად გენმოდირეცირებული საკვების შესახებ. შედეგებმა არ დააყოვნა და აღმოჩნდა, რომ საზოგადოების უმეტესი ნაწილი ნეგატიურად არის განწყობილი მსგავსი საკვების მიმართ.

ჩვენ განვიხილეთ საზოგადოების შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ახლა კი საინტერესოა, გავარკვიოთ თუ რა აზრის არიან მეცნიერები ამ საკითხთან დაკავშირებით. როგორც საზოგადოებაში, ასევე მეცნიერებშიც იყოფა აზრები. აქაც გამოიკვეთა ორი ჯგუფი: პირველი, რომელიც თვლის რომ გენმოდირეცირებული საკვები საზიანოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის და მეორე, რომლისთვისაც ეს პროდუქტი არ უკავშირდება ნეგატიურ ეფექტებს. სამეცნიერო წინსვლის ამერიკულმა ასოციაციამ 2012 წელს განაცხადა, რომ: - “მეცნიერების მტკიცებით, უსაფრთხოა მარცვლეულის გაუმჯობესება ბიოტექნოლოგიის თანამედროვე მოლეკულური მეთოდით”. 2010-ში ევროკომისიამ დადო დასკვნა, რომ “მსგავსი პროდუქცია არ არის იმაზე მეტად საშიში, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით გამოყვანილი პროდუქტი”. თუმცა არსებობს მეცნიერთა ძალიან დიდი ჯგუფი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბევრად მეტი კვლევაა საჭირო და მოცემული კვლევები საკმარისი არ არის დასკვნების გამოსატანად. ზოგიერთი მათგანი უფრო კრიტიკულადაც კი უდგება ამ საკითხს და ამტკიცებენ რომ ამ საკვების გამოყენებამ შეიძლება მიგვიყვანოს ისეთ ცხოვრებისეულ რისკებამდე, რომლებიც ჯერ არც კი უნახავს დედამიწას.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში 2015 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა კანონი, რომლის მიხედვითაც აუცილებელი გახდა გენმოდირეცირებული საკვების ეტიკეტირება. შესაბამისად, უკვე მომხმარებელს თავად შეეძლება, აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და თავად

გადაწყვიტოს, სურს თუ არა რომ მიიღოს მსგავსი პროდუქტი საკვებად. რაც გულისხმობს სრულად მომხმარებელთა უფლებების დაცვას.<sup>20</sup>

სამწუხაროა. მაგრამ გენმოდდიფიცირებული საკვების პრობლემა ძალიან მწირი ნაწილია იმ საფრთხეებისა, რომლის წინაშეც დგას დღეს საზოგადოება. ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხეა ასევე, ქიმიურად და ბიოლოგიურად დაბინძურებული ჰაერი, არანაყოფიერი ნიადაგების სიმრავლე, ულტრაიისფერი სხივების პროცენტული ზრდა, სასმელი წყლის დაბინძურება, რესურსების არარაციონალური და არამიზანმიმართული ხარჯვა, კლიმატის ცვლილებები და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, უმეტესი ამ პრობლემათაგანი გამოწვეულია თავად ადამიანთა ქცევებიდან გამომდინარე.

ჯანრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის დასკვნით საგრძნობლად შეიძლება შემცირდეს გარემო პრობლემები, თუკი საზოგადოება გააცნობიერებს თავის ქცევას და გახდება უფრო რაციონალური, ნაკლებად ეგოისტი და ცნობიერება ამალალებული ამ საკითხებთან დაკავშირებით. იგივეს საკვნების მიხედვით თუკი შეიცვლება საზოგადოების ქცევა, შეიძლება რომ ყოველწლიურად 13 მილიონი ადამიანის სიკვდილის პრევენცია განხორციელდეს. ევროპის ჭრილში რომ ავიღოთ, მათი მონაცემებით სწორი ქცევის შემთხვევაში შემცირდება სიკვდილიანობა 20 პროცენტით.

ზემოთხსენებული პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო საუკუნეში, რადგან საზოგადოებამ განვითარების უფრო მაღალ საფეხურებს მიაღწია, გარემოსათვის უპირველესი მტერი აღმოჩნდა ინდუსტრიალიზაცია. ასევე უნდა აღინიშნოს რომ შენდება უამრავი საწარმო, მომრავლებულია მანქანათა რაოდენობა ქალაქებში თუ სოფლებში. მათი გამონაბოლქვი კი ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს ატმოსფეროზე, უმეტესი მათგანი სამწუხაროდ არ ფუნქციონირებს გამართულად, რადგან მეორად მანქანები ჭარბობს საქართველოში და შესაბამისად უფრო დიდია უარყოფითი ეფექტების წილი. ისევ ვაწყდებით ადამიანთა ცნობიერების ამალალების პრობლემას. სწორედ

---

<sup>20</sup> საქართველოს კანონი- სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ

საზოგადოების დაბალ ცნობიერებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მრალადაა ქუჩები, სადაც ყრია ნაგავი. კიდევ უფრო მძიმეა პრობლემა, როცა ვედავთ თუ როგორ გამორიყავს ხოლმე პლაჟები დიდი რაოდენობით ნარჩენებს, რომლებიც სწორედ ადამიანთა წაყალობით მოხვდნენ იქ. წყლის დაბინძურება სასიკვდილოდ აისახება წყლის ბინადრებზე. ეს წყლის ბინადრები კი ხშირად ისევ ადამიანთა მაგიდებზე აღმოჩნდება საკვების სახით. მსგავსი პრობლემაა ტყეებთან დაკავშირებითაც საქართველოში.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას რომ საქართველო მარტო არ არის ამ პრობლემების წინაშე და თითოეული ეს პრობლემა შეიძლება უფრო მძიმე ფორმითაც კი არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, საჭირო ხდება ერთობლივი მოქმედებები და ბრძოლა თვითგადარჩენისათვის, რაც მოიცავს თავისთავად გარემოს გადარჩენას და მასზე ზრუნვას. რადგან სწორედ ამ გარემოში ვარსებობთ ჩვენ და ვართ მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2.2 მდგრადი განვითარების კუთხით გატარებული პროექტები საქართველოში

მდგრადი განვითარება მეტად აქტუალური საკითხია დღეისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ამ კუთხით არ არის გამონაკლისი საქართველოც. ზოგადად გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა არის ადამიანის ამოცანა და მეტიც, გარემოს გაფრთხილება საზოგადოების ვალდებულებაც კია. რატომ გვაქვს მსგავსი ვალდებულებები?!- იმიტომ რომ ჩვენ მოვალენი ვართ საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ, ასევე იმ მომავალი თაობების წინაშე, რომლებმაც უნდა იცხოვრონ იმავე გარემოში, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ და უნდა ისარგებლონ იმ რესურსებით, რაც დღეისათვის არსებობს გარემოში და თუ ჩვენ გამოვიყენებთ არარაციონალურად მოცემულ რესურსებს, მაშინ მომავალ თაობებს არც კი ექნებათ შანსი, რომ გამოიყენონ ეს რესურსები.



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ცალკეული სამმართველო ფუნქციონირებს, რომლის სახელწოდებაცაა- მდგრადი განვითარების სამმართველო. მოცემულ სამმართველოს ეხება ძირითადად შემდეგი ფუნქციები:

- მდგრადი განვითარებისათვის სტრატეგიის მომზადება, და არამხოლოდ მომზადება, არამედ აქტიური ჩართულობა ამ სტრატეგიის განხორციელებაში. ასევე აქტიური ჩართულობა კანონების შემუშავებაში ამ მიმართულებით
- გაეროში უკვე დაწესებული მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაცია. ისეთი პროექტების დაგეგმვა ან სულად ხელშეწყობა, რომლებიც მიმართულია სწორედ ამ მიზნებიდან რომელიმე ქვეპუნქტის ან რამდენიმეს განხორციელებისაკენ
- იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ნაკისრი გვაქვს ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით ენერგომომხმარებელი პროდუქტის ენერგოეტიკეტირებასთან დაკავშირებით. ასევე მოცემული მიმართულებით კანონების შემუშავება
- მწვანე ზრდისა და ზოგადად მწვანე ეკონომიკისათვის განკუთვნილი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება; იმ პროექტების წახალისება, რომლებიც დაეხმარება მწვანე ეკონომიკის დანერგვას საქართველოში, მჭიდრო ურთიერთობები ამ მიმართულებით საზოგადოებასთან, და ასევე მმართველ ორგანოებთან

ზოგადად, სახელმწიფოს რა თქმა უნდა შეუძლია, ჩაერიოს ქვეყანაში ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ერთ-ერთი მსგავსი დარგი, რომლის ფუნქციონირებაშიც სახელმწიფო ჩარევა გამართლებულია არის სოფლის მეურნეობის დარგი საქართველოში. თუმცა, უმნიშვნელოვანესია ის საკითხი, რომ სახელმწიფომ მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ უსაფუძვლოდ და უმიზნოდ დახარჯულ რესურსს, რომლის გამოყენებაც გაცილებით რაციონალურად შეიძლებოდა. აქ მაგალითად გამოგვადგება 2010 წელს საქართველოში განხორციელებული ფიბრიდულ

სიმინდთან დაკავშირებული პროგრამა. რომლის მიზანიც იყო ჰიბრიდული სიმინდის იმპორტი და მისი მასობრივი გავრცელება მოსახლეობაში. სახელმწიფომ უზრუნველყო, სათესლე მასალის იმპორტით დაწყებული მოსახლეობისათვის ამ პროდუქტის განვადებით მიწოდების ჩათვლით ყველა პროცედურა. ამ საკითხში ჩაერთო ასევე კომერციული ბანკებიც. მოელოდნენ, რომ პროექტი განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევდა. თუმცა, სამწუხაროდ, სამწუხაროდ ძალიან ბევრი ფერმერი დაზარალებულის როლში წარმოგვიდგა და ასევე დაზარალებული დარჩა სახელმწიფოც, რადგან გამოვიდა, რომ ტყუილად და უშედეგოდ გაიფლანგა გარკვეული სახსრები. რეალურად ყოველივე ამის მიზეზი იყო ის, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა სწორად განსაზღვრული მოცემული ქმედების შედეგები, არ იყო სათანადოდ შესწავლილი ნიადაგი და სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორები. მნიშვნელოვანია, წინასწარვე გაკეთდეს პროგნოზი, თუ რა იქნება პროექტის შედეგები და რამდენად რაციონალურად იქნება გამოყენებული ფინანსები. ასევე მნიშვნელოვანია, შემოწმდეს იმპორტირებული პროდუქტის ხარისხი, შესწავლილი იყოს ბაზარი და ასე შემდეგ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არ ხორციელდება მხოლოდ წარუმატებელი პროექტები. სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება საქართველოში. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია პროგრამა, სახელწოდებით- „ახალგაზრდა მეწარმე“. პროექტი გულისხმობს საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდების ჩართვას სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ასევე საქართველოში წარმატებით ხორციელდება ერთ-ერთი აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა 2016 წლიდან. რომელიც ხორციელდება „სოფლის მეურნეობის განვითარების, ბაზარზე წვდომის გაუმჯობესების და ასევე მარტივად რავირების პროექტის“ ფარგლებში.

პროგრამას აფინანსებს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი და ასევე გლობალური გარემოს დაცვის ფონდი.

პროგრამის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. განხორციელების კუთხით კი, აქ უკვე იკვეთება

"სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს როლი-" "ერთიანი აგროპროექტის" ფარგლებში.

მოცემული პროგრამის მიზნებია:

1. მაქსიმალურად შეეწყოს ხელი არსებული ბალების პოტენციალის გამოყენებას
2. პირველადი წარმოების პროდუქტის მოსავლიანობის ზრდაზე ზრუნვა და ასევე მისი ხარისხის გაუმჯობესება
3. მოქმედი შემნახველი და გადამამუშავებელი აგროსაწარმოების მოდერნიზაცია და ასევე მათ გაფართოებაზე ზრუნვა
4. მსგავსი საწარმოების რიცხვის ზრდა
5. და რა თქმა უნდა თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება

2015 წლიდან დაიწყო კიდევ ერთი შესანიშნავი პროგრამა- „დანერგე მომავალი“.

ამ პროექტს გააჩნია გარკვეული მიზნები:

- სასოფლო-სამეურნეო მიწების რაციონალური გამოყენება საქართველოში გნსხვაგვარული მიზნებისათვის. კონკრეტული მიმართულება აქ შეიძლება იყოს- მრავალწლოვანი კულტურების გაშენება. რაც შეძლებს და ჩაანაცვლებს იმპორტირებულ საქონელს. შესაბამისად მოხდება საექსპორტო პოტენციალის ზრდა, ასევე მარტივად მოხდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა. ყოველივე ამის საბოლოო შედეგი იქნება სოფლად მყოფი საზოგადოების მდგომარეობის მათ შორის ისევე როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება
- ასევე ეს პროექტი მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის სარგავი მასალების წარმოების მხარდაჭერას. რა თქმა უნდა ეს ეხება ადგილობრივ წარმოებას. რაც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ იმპორტირებული პროდუქტი ამ მიმართულებით ჩავანაცვლოთ ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქტით. ეს გახდება სტიმული საქართველოში ახალი ბალების გაშენებისა, რაბ თავის მხრივ გამოიწვევს

მეხილეობის სექტორის არამხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისობრივ გაუმჯობესებასაც.

აღნიშნული პროექტები საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა საქართველოში და ფუნდამენტური როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის აქტუალიზაციასა და მის განვითარებაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაიზარდა ახალგაზრდების ჩართულობა ამ სფეროში.

ასევე უნდა ითქვას რომ სახელმწიფოს მხრიდან აქტიურად ხორციელდება სხვა არაერთ მნიშვნელოვანი და მეტად საინტერესო პროგრამა. ყურადსაღებია, კანონპროექტი, რომელიც 2019 წელს შევიდა ძალაში პოლიეთილენის პარკებთან დაკავშირებით. კანონის მიხედვით იკრძალება პოლიეთილენის პარკების გამოყენება. 2019 წლის 1 აპრილიდან შევიდა კანონი ძალაში და აიკრძალვა არაბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკების გამოყენება და რა თქმა უნდა წარმოებაც. აკრძალვა ეხება ნებისმიერი სისქის პოლიეთილენის პარკების წარმოებას. რატომ შეეხო კანონპროექტი ასე მკაცრად პოლიეთილენის პარკების გამოყენების საკითხს?! რეალურად პოლიეთილენის პარკებს სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია გარემოსათვის. პოლიეთილენის პარკის, როგორც უკვე ნარჩენის დაშლას სჭირდება უდიდესი პერიოდი. თუმცა მხოლოდ ეს არ არის პრობლემა, რეალურად მათი წარმოებისათვის გამოიყენება სასარგებლო წიაღისეული, რომელთაგანაც უმრავლესობა ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება. მიღებული კანონი ძალიან დადებითად აისახება გარემოს გაჯანსაღების საკითხზე და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მის მდგომარეობას.

აქვე ვახსენოთ ნარჩენების გადამუშავების ახალი მოდელიც, რომელიც აქტიურად იწერება დღეისათვის საქართველოში. მნიშვნელოვანია ის, რომ ნარჩენების დახარისხების პირველი ეტაპი იქნება საზოგადოების სახლებშივე დახარისხება. ნაგვის განთავსებისათვის იქნება ოთხი ყუთი საჭირო, ოთხი ყუთი გადანაწილდება შემდეგნაირად ქაღალდი-მუყაოს, პლასტმასის, ასევე მინისა და მეტალისათვის განკუთვნილი ყუთები. რა თქმა უნდა ოთხი განსხვავებული კონტეინერი დაიდგმევა ქუჩაშიც.

ამ დროისთვის საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს მეტალის, ქალაქის, მინის, მუყაოსა და პლასტმასის გადამამუშავებელი ქარხნები.

ძალიან საინტერესო იყო ასევე კანონპროექტი გენმოდირიფიცირებული საკვების ეტიკეტირებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც უკვე ვისაუბრეთ თემის დასაწყისში. და რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის პირველი ივლისიდან.

აქვე შეგვიძლია, მივუბრუნდებით დღეისათვის ძალიან აქტუალურ თემას, რომელიც ეხება მწვანე სახურავებს. დაახლოებით 2017 წლიდან საკმაოდ აქტუალური გახდა ეს საკითხი საქართველოშიც. მწვანე სახურავები და არქიტექტურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკაში და ასევე ევროპის ქვეყნებში უკვე აპრობირებული ტენდენციაა, და უნდა აღინიშნოს რომ უკვე საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი. საქართველოსთან მიმართებაშიც საკმაოდ აქტუალურია მოცემული ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ საწყის ეტაპზე მსგავსი სახურავები გამოიყენებოდა კერძო სახლების მშენებლობაში, დღეისათვის ეს სიტემა გამოიყენება უკვე ორპუსებშიც. თბილისის მერია ამ პროექტის აქტიური მხარდამჭერია. (ლიპარტელიანი მ. 2018)

გამწვანებისათვის ხელის შემწყობი ფაქტორია მწვანე სახურავების ტენდენციის ზრდა ქალაქში. თავის მხრივ გაფართოვდება ქალაქში ჟანგბადის წყაროც. შესაბამისად, გარემოს გამწვანება დადებითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზეც.

ძალიან საინტერესია ის ფაქტიც, რომ 2020 წელს შეიქმნა ერთ-ერთი აპლიკაცია, სახელწოდებით: “UnLimited”- სადაც ნებისმიერ მომხმარებელს შუძლია, რუკაზე ნახოს თუ რამდენად ადაპტირებულია ესა თუ ის ობიექტი შშმ პირთათვის. ეს აპლიკაცია ხელს უწყობს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზნის განხორციელებას, ე.წ. უთანასწორობის აღმოფხვრას. ყველაზე სასიხარულოა ის, რომ ამ აპლიკაციის ავტორები არიან ქართველი ახალგაზრდები. ეს კიდევ ერთხელ არის იმედის მომცემი, რომ ახალი თაობა უფრო მეტად არის ჩართული მდგრადი განვითარების საკითხებში.

## თავი III. მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

### 3.1 მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დანერგვისათვის საქართველოში გატარებული ღონისძიებების ანალიზი


განვიხილოთ, თუ რა ღონისძიებები ტარდება მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოში. ზოგადად მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება მოიცავს უამრავ სექტორს. საქართველოშიც განვითარება ხდება არაერთი მიმართულებით. ერთ-ერთი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის დარგი, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარდა, ემსახურება ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, რაც ძირითადად გამიხატება ჯანსაღი პროდუქტისა და საკვების არსებობით. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ამ კუთხით არის ორგანული საკვების წარმოება.

საქართველოში სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო ატარებს არაერთ მნიშვნელოვან პროექტს. რომელთაგან უმრავლესობა უკვე განვიხილეთ წინა თავში. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა უნდა ითქვას, რომ თითქმის განუყოფელია სახელმწიფოსაგან. სახელმწიფო რეალურად მის ხელთ არსებული ინსტრუმენტებით, დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, განსაკუთრებით კი მისი განვითარების სტრატეგიებზე, ტემპებსა თუ ფორმებზე, უზრუნველყოფს წონასწორობის შენარჩუნებას და საჭიროების შემთხვევაში მის აღდგენას. აქვე უნდა ითქვას რომ ის არეგულირებს ციკლური რყევება, ამცირებს გარკვეულ კრიზისებს, ის ასევე ახორციელებს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების რეგულირებას და ამ ცვლილებების სწორი ვექტორით განვითარებას. ყოველივე ზემოთხსენებული მიზნად ემსახურება სახელმწიფოს მიერ დასახული სოციალური, ეკონომიკური და ასევე

პოლიტიკური მიზნების რეალიზაციას. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში განუხრელად იზრდება, მიუხედავად სხვადასხვა უამრავი ეკ. სკოლის აზრთასახვადასხვაობისა ეკონომიკაში სახელმწიფო როლის შესახებ. და დღეს უკვე სახელმწიფო და ეკონომიკა განუყოფელი არიან.

საქართველოში სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროექტებიდან შეიძლება ჩამოვთვალოთ რამდენიმე: „ახალგაზრდა მეწარმე“, „დანერგე მომავალი“, და სხვა, ეს პროექტები ხელს უწყობს ისევე როგორც ფერმერების განვითარებას და მათი შემოსავლების ზრდას, ასევე დასაქმებულთა რაოდენობის ზრდასაც. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეხმარება საზოგადოებას იკვებონ ჯანსაღად, ისუნთქონ ჯანსაღი ჰაერი და ასე შემდეგ. საინტერესოა, ვნახოთ სტატისტიკური მონაცემები, თუ რამდენი პროცენტი მოდის სოფლის მეურნეობაზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაანგარიშებისას.

**მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი, %**



**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ხარისხის კონტროლი სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაშიც ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც სხვა დარგებში. უხარისხო

პროდუქტი დაკავშირებულია საბოლოოდ დიდ ზარალთან, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ისიც, რომ მსგავსი პროდუქტი არ არის კონკურენტუნარიანი და არ სარგებლობს პოპულარობით მსოფლიოს ბაზარზე. რისი შედეგიც თავის მხრივ არის ექსპორტის შემცირება. უნდა ითქვას, რომ არც ადგილობრივი მოსახლეობა წყალობს მსგავს პროდუქტს და ეს მიდგომა სწორიცაა. თუმცა ამის შედეგი ხდება საბოლოოდ ის, რომ იზრდება მოთხოვნა უცხოურ პროდუქტზე, რაც თავის მხრივ იწვევს იმპორტის ზრდას. საბოლოოდ წარმოიშობა სავაჭრო დეფიციტი და უარესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა.

უხარისხო პროდუქტის არსებობა არამხოლოდ ეკონომიკური პრობლემების საწინდარია, არამედ გაცილებით სავალალო შედეგების მქონეა სოციალურ პირობებზე. ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში ძალიან მაღალია ონკოლოგიურად დაავადებულთა რიცხვი და ის შეადგენს დაახლოებით 7 ათასს. სამწუხაროდ ამ რიცხვში, საშუალოდ 200 შემთხვევა ბავშვებში ვლინდება. ასევე ხშირია არა მხოლოდ მოსახლეობის, არამედ პირუტყვის მოწამვლის ფაქტებიც, და უმეტესწილად პირუტყვის შემთხვევაში ეს ფაქტები, პირუტყვის დაღუპვით სრულდება. ყოველივე ამის გამომწვევი არის ის დაბინძურებული გარემო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ხარისხის უკონტროლობა პირდაპირ კორელაციაშია მოკვდაობის მაჩვენებელთან. მედიცის მიღწევების მიუხედავად, მოკვდაობის მაჩვენებლის გაუმჯობესებას არ აქვს ადგილი საქართველოში. შესაბამისად, აუცილებელია მოხდეს როგორც ადგილობრივი, ასევე პროდუქტის ხარისხის მკაცრი კონტროლიც, რომელიც არის იმპორტირებული.




მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში საზოგადოების სასურსათო ხარჯების წილი(%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკის მიხედვით ჩანს, რომ 2011 წლის შემდეგ მონაცემები არ განიცდის დიდ მერყეობას და შედეგები თითქმის ერთნაირია მეტ-ნაკლები განსხვავებებით.

საინტერესოა, როგორია ადგილობრივი წარმოების სტატისტიკა ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქტებისა, როგორებიცაა: მრავალწლოვანი კულტურები.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ვხედავთ, რომ ციტრუსის წარმოება ასეა თუ ისე ინარჩუნებს სტაბილურ ნიშნულს და მცირედით არის განსხვავება წლებს შორის. რაც შეეხება ყურძნის წარმოებას, საგრძნობლად გაზრდილია, ხოლო დანარჩენი ხილის წარმოება მაქსიმალურ ნიშნულს 2014 წელში აღწევდა, ძალიან დაბალ ნიშნულზე იყო 2017 წელს და 2018 წელს შედარებით გაიზარდა მისი წარმოება... თუმცა ამ მიმართულებით აშკარად ბევრი სამუშაოა საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებამ საქართველოში მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია 2018 წელს, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ჯანსაღი კვების წინაპირობებს.

ვხედავთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარება ისეთი ქვეყნისათვის, როგორცაა საქართველო და შესაბამისად ვრწმუნდებით იმ პროექტების არსებობის აუცილებლობაში, რომლებიც უკვე ვახსენეთ წინა თავში და რომლებიც საკმაოდ წარმატებულად ხორციელდება.

თუმცა, სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში არსებული პრობლემები მდგრადი განვითარების კუთხით არ შემოიფარგლება მხოლოდ საკვებთან დაკავშირებული პრობლემებით. პრობლემები არსებობს სხვა ძალიან ბევრ სფეროშიც. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო პრობლემაა:- ჰაერის დაბინძურება. ამ კუთხით საქართველომ აამოქმედა არაერთი რეგულაცია. ასევე გატარდა არაერთი საინტერესო პოლიტიკა. თავდაპირველად შევხედოთ სტატისტიკურ მონაცემს:

## ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, ათასი ტ/წელი



**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ვინაიდან საქართველოში ამ მხრივ მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა, ტარდება უამრავი ღონისძიება ატმოსფეროს დაბინძურების შესამცირებლად.

დავიწყოთ იმით, რომ შეიცვალა მოძველებული სატრანსპორტო საშუალებები ქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება არ შეეხო ყველა სატრანსპორტო საშუალებას, ეს მაინც პოზიტიური ფაქტია. თუმცა, ცვლილებისათვის გარკვეული ფინანსებია საჭირო და შესაბამისად შეცვლა იგეგმება ეტაპობრივად. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ არსებობს მჭიდრო კორელაცია გლობალურ დათბობასა და ტრანსპორტს შორის. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ რაც უფრო მეტად იმატებს ტრანსპორტი მსოფლიოში, უფრო მეტად იმატებს წლიური საშუალო ტემპერატურა.

ზოგადად გარემოზე ტრანსპორტის გავლენა არსებობს სამი სახის:

- პირდაპირი

- არაპირდაპირი
- კუმულაციური

შეგვიძლია დავახასიათოთ თითოეული მათგანი. მაგალითად, პირდაპირი გავლენა გულისხმობს სატრანსპორტო აქტივობის შედეგად გამოწვეულ აბსოლუტურ, უშუალო შედეგს გარემოზე. მსგავსი შედეგი შეიძლება, იყოს ნახშირბადის მონოქსიდის ემისიები, ხმაური და სხვა. ზოგადად გლობალური ემისიების 24 % მოდის ტრანსპორტზე, რომელშიც შედის ისევე როგორც სახმელეთო, ასევე საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი. ეს პრობლემა განსაკუთრებით ჭარბად არის დიდ ქალაქებში, სადაც ტრანსპორტის წილი გაცილებით დიდია.<sup>21</sup> (Rodrigue, J 2020)

რაც შეეხება არაპირდაპირ გავლენას, ის გულისხმობს ტრანსპორტით გამოწვეულ დაზიანებათა მეორეულ შედეგებს. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ხშირია შემთხვევები, როდესაც არაპირდაპირი გავლენა უფრო დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული ვიდრე პირდაპირი. მაგალითად, მყარი ნაწილაკები, რომლებიც წარმოიქმნება შიგაწვის ძრავაში საწვავის არასრული წვის შედეგად, არაპირდაპირ კავშირშია რესპირატორულ (სასუნთქ) და კარდიოვასკულარულ (გულს-სისხლძარღვთა) დაავადებებთან.

შეგვიძლია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ კუმულაციური გავლენის შესახებაც. ის მოიცავს სატრანსპორტო აქტივობის კომპლექსურ და სინერგიულ შედეგებს. ეს არის განსაკუთრებით რთული შემთხვევა, რადგან მოიცავს ისევე როგორც არაპირდაპირ, ასევე პირდაპირ გავლენას გარემოზე. მაგალითად, კლიმატის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორებით, მათ შორის, ტრანსპორტის სექტორის ემისიებით.

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ თუ რა არის მდგრადი სატრანსპორტო სისტემა. ეს სისტემა გულისხმობს საზოგადოების მობილობის საჭიროებების დაკმაყოფილებას ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნაკლებად დაზიანებს

---

<sup>21</sup> Rodrigue, J. (2020, January 25). Transport and sustainability. The Geography of Transport Systems.

გარემოს და არ შეუქმნის საფრთხეს მომავალ თაობებს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის დადებითი ფაქტი, რომ მწვანე ტრანსპორტი არ არის დამოკიდებული ამოწურვად ბუნებრივ რესურსებზე. მდგრადი სატრანსპორტო საშუალებები ფუნქციონირებს განახლებად და აღდგენილ ენერჯიაზე, რის გამოც მიიჩნევა, რომ ტრანსპორტის ამ სახეობებს ძალიან დაბალი, ან ნაკლებად ნეგატიური გავლენა აქვთ გარემოზე.<sup>22</sup> (Evans, M 2011)

ტრანსპორტისა და განვითარების პოლიტიკის ინსტიტუტი განსაზღვრავს (ITPD) მდგრადი სატრანსპორტო სისტემის რვა პრინციპს:

- ფეხით სიარული - რაც გულისხმობს საზოგადოებაში ფეხით სიარულის წახალისებას. რაც არამხოლოდ გარემოსთვის, ასევე ადამიანისთვისაც სასარგებლოა.
- ველოსიპედით გადაადგილება - არ იწვევს გარემოს დაბინძურებას, გარემოსთვის თითქმის იგივე შედეგი აქვს, რაც ფეხით სიარულს.
- დაკავშირება - საფეხმავლოებისა და გზების შექმნა
- გადაყვანა -რაც გულისხმობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებას
- შერევა- სხვადასხვა სატრანსპორტი საშუალებების გამოყენება
- სიმჭიდროვე
- კომპაქტურობა
- გადასვლა

აღნიშნული პრინციპების განხორციელება დაგვეხმარება უფრო მდგრადი და მწვანე სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ტრანსპორტის სექტორის უარყოფით გავლენას გარემოზე და წვლილს შეიტანს უფრო მწვანე გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება ასევე საწვავზე მომუშავე მანქანების ახალი ელექტრო მანქანებით ჩანაცვლება. პრაქტიკულად მინიმალურია ელექტროავტომობილების მხრიდან ქალაქში ჰაერის დაბინძურება. ვინაიდან მსგავსი მანქანების გამონაბოლქვი არ შეიცავს მავნე დამაბინძურებლებს. თუმცა, ვაწყდებით ერთ მცირე პრობლემას, ელექტროავტომობილების ფასი

---

<sup>22</sup> Evans, M. (2011, April 20). Sustainable Transport. Earth Times | News and Information about Environmental Issues

გაცილებით ძვირია ვიდრე შიდაწვის ძრავიანი ავტომობილების ფასები. ამის მიზეზი კი არის ის, რომ მსგავსი ავტომობილების აკუმულატორები გაცილებით მაღალფასიანია. არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ კი გაიზრდება მოთხოვნა და წარმოება მსგავს პროდუქტებზე, მეტნაკლებად დარეგულირდება ფასებიც.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში იხსნება ველოსიპედისათვის განკუთვნილი არაერთი გზის სავალი ნაწილი. ეს სტიმულს აძლევს მოსახლეობას, რომ ველოსიპედით იმობრაოს, რაც სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ იწვევს გარემოს დაბინძურებას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და რთულად მოსაგვარებელი პრობლემა არის ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება. ეს ვერ მოხდება ერთ და ორ წელში, ეს არის საკმაოდ გრძელვადიანი პროცესი. ცნობიერების დაბალი დონე გვევლინება ხელის შემშლელ ფაქტორად საზოგადოებრივი ჩართულობისა მდგრად განვითარებაში. თავისთავად, აქედან გამომდინარე ფერხდება მდგრადი განვითარების ტემპები. ზოგადად “განათლება მდგრადი განვითარებისთვის” - მოიაზრებს მაღალი ხარისხის განათლების დახმარებით პირველ რიგში საზოგადოების და შემდეგ უკვე ორგანიზაციებისა და ქვეყნების ცნობიერების დონის ამაღლებას, იმისათვის, რომ მათ საბოლოოდ წახალისონ მდგრადი განვითარება. ზოგადად საზოგადოებაში არსებული მაღალი დონე განათლებისა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის სწორი ვექტორით განვითარების საკითხშიც, ვინაიდან რაციონალურად მოაზროვნე და ინოვაციებისაკენ მიდრეკილი საზოგადოება ქმნის მომავალს. ამ მიზანს ემსახურება სწორედ ის ფაქტი, რომ შეიქმნა ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022 წლებისათვის, მოცემული სტრატეგია ძირითადად მოიცავს განათლების საკითხს მდგრადი განვითარებისთვის და მისი მიზანია, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებას ქვეყანაში.

მდგრადი სწავლება ძირითადად მოიცავს ისეთი უნარების განვითარების ხელშეწყობას, რომლებიც ახალგაზრდა თაობას საეხმარება, საკითხისადმი რაციონალურ მიდგომასა და ღრმად გააზრებაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა სტრატეგია და ასევე სამოქმედო გეგმა, რომლის სახელწოდებაცაა: - “გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის” დაახლოებით 2012-2014 წლებში. მოცემული სტრატეგიის მიზანი ცალსახაა და ის ემსახურება საზოგადოებაში გარემოსადმი პასუხისმეგობრობის გრძნობის ამაღლებას, რაც თავისთავად მოიცავს ცნობიერების დონის ზრდას საზოგადოებაში. საბოლოოდ ამ ყოველივეს მიზანია მდგრადი განვითარების ტემპების დაჩქარება.<sup>23</sup>

მოცემული მიმართულებით არსებობს რამდენიმე გასათვალისწინებელი ხარვეზი:

- მოცემული ღონისძიებების უმრავლესობა გათვლილი იყო მოკლევადიან პერიოდზე და არ მოიცავდა გრძელვადიან მიზნებს
- ღონისძიებათა უმრავლესობა არ იყო სწორად კოორდინირებული და არ მოიცავდა დიდ მასშტაბებს
- კვლევაში მონაწილე სტრუქტურებმა ვერ თუ არ განახორციელეს სწორად კოორდინირებული ღონისძიებები
- განხორციელებული ღონისძიებები არ მოიცავდა საზოგადოებაში გარკვეული უნარების განვითარებას, ის ორიენტირებული იყო მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, თუმცა მხოლოდ თეორიული ცოდნა უმეტესწილად არ არის ხოლმე საკმარისი და საჭიროა ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა

ასევე მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი მიზანია - რესურსების დაზოგვა და მათი რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. და

---

<sup>23</sup> გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს მოსაზრება არსებობდეს საზოგადოების ცნობიერებაშიც საკმაოდ მკაფიოდ.

### 3.2 მწვანე ეკონომიკის ფორმირების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები

დღეისათვის, COVID-19-ის პირობებში, მწვანე ეკონომიკამ და მდგრადმა განვითარებამ ისეთი მნიშვნელობა შეიძინა, როგორც არასდროს. „მაშინ, როდესაც ჩვენ უნდა გავაფართოვოთ დაუყოვნებლივი საპასუხო ნაბიჯები COVID-19-ის დასამარცხებლად, პანდემიის შედეგები შეუძლებელია არ აღმოჩნდეს კავშირში მდგრადი განვითარების მიზნებთან“ — წერს ნორვეგიის პრემიერ მინისტრი ერნა სოლბერგი და განას პრეზიდენტი ნანა აკუფო-ადო.

უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის პირობებში არაერთი ეკოლოგიური ფაქტორის მაჩვენებელი გაუმჯობესდა საგრძნობლად. მაგალითად, იტალიის საკარანტინო პერიოდის განმავლობაში, სატელიტის მონაცემებმა აჩვენა აზოტის დიოქსიდის ემისიის შემცირება ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში; ვენეციის წყლის გზები უფრო სუფთაა, რადგან ტურისტული გემები მკვეთრად შემცირდა; ინდოეთში დაფიქსირდა აზოტის დიოქსიდის დაბინძურების ყველაზე დაბალი დონე, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა გაზაფხულზე, იტყობინება ენერჯისა და სუფთა ჰაერის კვლევის ცენტრი (CREA).

აშშ – ში პროგნოზირდება ნახშირორჟანგის ემისია და ვარაუდობენ, რომ წელს შემცირდება 7,5 პროცენტი - ეს პირველი ვარდნაა მას შემდეგ, რაც კლიმატის ცვლილების შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო თითქმის სამი ათეული წლის წინ. როგორც იტყვიან მონეტას ორი მხარე აქვს. შესაბამისად COVID-19-ის შედეგად




გამოწვეული პროცესებიდან შეიძლება გამოვყოთ დადებითი ფაქტორებიც, თუკი შეიძლება რომ პანდემიისას რამე დადებითად ჩათვალო. <sup>24</sup> (Ranvir Nayar 2020)

საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მიმართულებით საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ თბილისში ჰაერში ნაწილაკების რაოდენობა შემცირდა 45 პროცენტით.<sup>25</sup>

ეს შეიძლება იყოს შედეგი იმისა, რომ შეიზღუდა ტრანსპორტით გადაადგილება და შესაბამისად ტრანსპორტით გამოწვეული ჰაერის დაბინძურება მინიმუმამდე დავიდა. ასევე შეჩერდა საწარმოების ფუნქციონირება და შესაბამისად ის ზიანი, რასაც ადრე ეს საწარმოები აყენებდნენ გარემოს, შემცირდა.

### ჰაერის დაბინძურება თბილისში 2018-2020



წყარო: [air.gov.ge](http://air.gov.ge)

ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელმა გაცილებით იკლო. გრაფიკი ასევე გვიჩვენებს, რომ ჰაერის დაბინძურება მჭიდრო კორელაციურ გავშირშია სეზონურობასთან. ფაქტია, თბილისში ჰაერის დაბინძურების ამჟამინდელი შემცირება პანდემიის წინააღმდეგ გატარებული ზომების შემდეგ დაიწყო. იმისათვის, რომ ადვილი აღსაქმელი იყოს განსხვავება, წარმოგიდგენთ 2019 წლის 10 აპრილის მონაცემებს, რომლის მიხედვითაც: რუსთავეში მყარი ნაწილაკების

<sup>24</sup> Ranvir Nayar. 2020. World has golden opportunity to go green

<sup>25</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ჰაერის დაბინძურების ხარისხი. 2020

PM10-ის კონცენტრაციები დიდი რაოდენობით დაფიქსირდა. (Particulate Matter) არის ჭვარტლის, კვამლის, ლითონის, ნიტრატების, სულფატების, მტვრის, წყლის, რეზინის და სხვა ნივთიერებების კომპლექსური ნარევი. 2020 წლის 17 აპრილის მონაცემებით კი PM 2.5-ის კონცენტრატები თბილისში შეადგენდა 002-ს. ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებამ უნდა აღიაროს, რომ როგორც კლიმატის ცვლილება, ასევე COVID-19 არის მდგრადობის და უსაფრთხოების კრიზისი. მდგრადობის სამი საყრდენი – გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობა არსებითად განსაზღვრავს „უსაფრთხოებას“.

დღეისათვის საკმაოდ ხშირად შეხვდებით ფრაზას- „სამყარო აღარასდროს იქნება ისეთი, როგორც ადრე იყო“. ამ ფრაზის მოსმენისას საზოგადოების უმრავლესობა განიცდის სტრესს და ამ ფრაზას ანიჭებს უარყოფით ასოციაციას. თუმცა, არავინ ფიქრობს იმაზე, განა მართლა უნდა ისეთი სამყარო, როგორშიც ადრე ვცხოვრობდით?! იქნებ, სწორედ ეს არის ჩვენი შანსი, რომ შევცვალოთ ჩვენი ცნობიერი და შევხედოთ სამყაროს სხვა თვალთ. გარემომ შეგვახსენა, რომ ის საჭიროებს ჩვენს მზრუნველობას, რადგან მდგრადი გარემო ისევ და ისევ ჩვენი სიცოცხლისთვის არის აუცილებელი პირობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად ცდილობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას საქართველოში, ძალიან ბევრი პრობლემა რჩება ჯერაც გადაუჭრელი. პროექტები, რომელთა ვექტორიც დღეისათვის მიმართულია მდგრადი განვითარებისკენ, არ არის საკმარისი.

COVID-19-ის პანდემიამ დაგვანახა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც იწვევს ჰაერის დაბინძურებას არის ტრანსპორტი. ზემოთ, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ არაერთ მიმართულებაზე, რაც სახელმწიფოში ხორციელდება ჯანსაღი ტრანსპორტის დანეგვისათვის. თუმცა, ისმის კითხვა- ყოველივე ეს საკმარისია?! მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისში გაიხსნა ველო გზები. თუმცა, ველოსიპედის მისაბმელი ადგილები არ არის ქალაქის მასშტაბით, უფრო კონკრეტულად კი მინიმალური რაოდენობითაა. შესაბამისად, თუ გვინდა რომ საზოგადოებას სტიმული მივცეთ სამსახურში მისვლისათვის ავტომანქანები

ჩაანაცვლონ ველოსიპედებით, მაშინ უნდა უზრუველვყოთ ველოსიპედის უსაფრთხო გასაჩარებელი ადგილებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი განვითარების პერსპექტივები შესაძლებელია ვეპიოთ ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში და ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში. გამონაკლისი არაა სპორტ-დარბაზებიც. ალბათ, გაგიკვირდებათ, როგორ შეიძლება გახდეს სპორტ-დარბაზი ეკო-მეგობრული. თუმცა ეს ნამდვილად შესაძლებელია. მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში უკვე არსებობს რამდენიმე ასეული ეკო-მეგობრული სავარჯიშო დარბაზი. მართალია ეს ქვეყნები ძირითადად მიეკუთვნება განვითარებული ქვეყნების რიგებს, თუმცა ამ პრაქტიკის დანერგვა არ არის რთული განვითარებად ქვეყნებშიც. ასეთი სპორტული დარბაზები იყენებენ სპეციფიურ, კონფიგურაციულ, სავარჯიშო აღჭურვილობას, რომელიც პედლის მოძრაობას გარდაქმნის ელექტროენერგიად. შემდეგ ეტაპზე გამომუშავებული ელექტროენერგია გადანაწილდება ელექტროგადამცემი საშუალებების გამოყენებით. სადავო საკითხი არ არის, ის რომ ეს ფაქტი ხელს უწყობს ელექტროენერგიის რაციონალურ ხარჯვასა და გამოყენებას.

ერთ-ერთი მაგალითია ჰონგ-კონგი, სადაც 2007 წლიდან იყენებენ დარბაზებში ეკო-მეგობრულ სავარჯიშო ტრენაჟორებს. რისტოლის ერთ-ერთ დარბაზში შეაჯამეს 1 თვის შედეგები. გამომუშავებული ენერგია შეადგენდა 574 კილოვატ/საათს და შედეგად დაიზოგა 258 კგ CO<sub>2</sub>. უფრო მეტი სიცხადისთვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ენერგია საკმარისი იყო პლაზმური ტელევიზორისთვის 158 დღის განმავლობაში, ოთახის განათებისათვის 9573 საათის განმავლობაში და მაცივრის თითქმის ორი წლით ასამუშავებლად. ამერიკაში პორტლენდის მწვანე სავარჯიშო დარბაზი Technogym-ის აღჭურვილობის დახმარებით იყენებს 85%-ით ნაკლებ ელექტროენერგიას. მისი ნახშირბადის ნაკვალევი კვადრატულ მეტრზე დაახლოებით მეათედით შემცირდა.<sup>26</sup>

---

<sup>26</sup> he fat-burning and energy-producing gyms. 2015

he Great Outdoor Gym Company (TGO) იყო ინოვაციური ეკო-მეგობრული ტრენაჟორების დაყენებისა სკვერებში. ეს იყო პირველი კომპანია, რომელმაც დაამონტაჟა ეკო-მეგობრული ტრენაჟორები ღია სივრცეში, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას. იმ შემთხვევაში თუ ეკო-მეგობრული ტრენაჟორები გამოყენებული იქნება მსოფლიოს ყველა სპორტულ დარბაზში, მაშინ ვარაუდობენ, რომ CO<sub>2</sub>-ის შემცირება ჰაერში საშუალო ძრავის მქონე ავტომობილების მიერ დედამიწის 10 000-ჯერ შემოვლით წარმოქმნილი ემისიის ტოლი იქნება.<sup>27</sup> გარდა ამისა, არსებობს კიდევ რამდენიმე გზა რომ სავარჯიშო დარბაზები გავხადოთ უფრო ეკო-მეგობრულები. ეს გზებია:

- ჭკვიანი თერმოსტატი
- ეკოლოგიური ნათურები
- ეკო-მეგობრული საწმენდი საშუალებები

რაც შეეხება საქართველოს, ამ მხრივ საქართველოს დიდი გამოცდილება არ აქვს და ძალიან კარგი იქნება, თუ მოხდება ეკო-მეგობრული დარბაზების მოწყობის ხელშეწყობა ან უბრალოდ მათ შესახებ საზოგადოების ინფორმირება და მსგავს დარბაზებზე მოთხოვნის ზრდა. ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მდგრადი განვითარების მიმართულებით.

მართალია, ეკო-მეგობრული დარბაზების არა, მაგრამ ეკო-მეგობრული ტურიზმის ნიშნები ნამვილად შეინიშნება საქართველოში. საქართველოში აქტიურად დაინერგა ეკო-მეგობრული კოტეჯების კულტურა. რაც ნამდვილად საჭიროებს წახალისებას. მსგავსი კოტეჯები არსებობს: ლაგოდეხში, მუხრანში, სიონის ტბასთან, თბილისში, ბორჯომში, სვანეთში და ასე შემდეგ. ეკო-მეგობრული კოტეჯები განსაკუთრებული მოთხოვნითაც სარგებლობენ. უნდა აღინიშნოს, რომ მდგრად ტურიზმს, როგორც ეკონომიკურ დარგს ბევრი ქვეყანაში უჭირავს უმნიშვნელოვანესი ადგილი. ამ მხრივ მსოფიოში დიდი გამოცდილება არსებობს.

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აქტიურად დაინერგოს მდგრადი ტურიზმი ქვეყანაში?!- პირველ რიგში-აუცილებელია, შეისწავლონ თუ რა გავლენა

<sup>27</sup> Healthy People & Planet with Technogym Green. 2019

შეიძლება იქონიოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებამ სოციალურ, ბუნებრივ და ეკონომიკურ გარემოზე. ასევე უნდა გატარდეს სხვადასხვა შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რომ მოხდეს უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება ისევე როგორც ადამიანებზე, ასევე გარემოზეც.

დღეისათვის საქართველოში თითქმის არ ხორციელდება მსგავსი პროექტები. ეს ერთის მხრივ ანელებს ტურიზმის განვითარებას და მეორე მხრივ მეტისმეტად დიდი წნეხის ქვეშ აქცევს საქართველოში არსებულ ფლორასა და ფაუნას. აუცილებელია, მდგრადი განვითარების მესვეურებმა ყურადღება მიაქციონ ტურიზმის ინდუსტრიის მდგრადი განვითარების საკითხს. რადგან მხოლოდ ფინანსური მხარის დანახვა და შეფასება სიკეთეს თავად ეკონომიკასაც კი ვერ მოუტანს გრძელვადიან პერიოდში.

ასევე მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ ეკონომიკურ ინსტრუმენტებზეც. ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია მსოფლიოში სანქციები გარემოს დაბინძურებისას. ეკონომიკური ინსტრუმენტები, რომლებიც მიმართულნი არიან გარემოს დაცვისაკენ, თავის მხრივ მოიცავს ბუნებრივი რესურსების დაბინძურებისათვის დადგენილ გადასახადებს. ასევე გათვალისწინებულია ჯარიმების დაწესება გარემოს დაზიანების მცდელობის ან ფაქტის არსებობის შემთხვევაში. გარემოსდაცვითი გადასახადებისა და დაბინძურების საფასურის გადახდის სისტემა რეალურად ბოლო 10 წელია არ განცდის მნიშვნელოვან მოდიფიკაციას. მოცემული გადასახადების ოდენობა ძალიან მიზერულია. მისი გამოთვლისას არ არის გათვალისწინებული ის ხარჯები, რომელიც საჭიროა უკვე დაბინძურებული გარემოს აღდგენისათვის. ასევე უნდა ითქვას, რომ მოცემული გადასახადები არ ასტიმულირებს იმას, რომ არ იქნას გამოყენებული სტიქიური ნივთიერებები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა დაბინძურების ხარისხს.

ხშირად წარმოიქმება სხვადასხვა სახის პრობლემები გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მარეგულირებელი სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. შეგვიძლია, ჩამოვთვალოთ ამ პრობლემათაგან რამოდენიმე:

- არაეფექტურია მარეგულირებელი ინსტიტუტების საქმიანობა გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში.

- გარემოსდაცვითი გადასახადებს არ ენიჭება მნიშვნელოვანი როლი და არც დაბინძურების საფასურის სისტემაა მოწესრულებული. ორივე მათგანი მოუწესრიგებელია და არც არავინ ზრუნავს მათ განვითარებაზე
- გადასახადები ძალიან მიზერულია ჯარიმის სახით, რომლებიც ეკისრებათ გარემოსათვის ზიანის მიყენების გამო

ვფიქრობ, აუცილებელია, საქართველოში დაინერგოს გადასახადების დაწესება გარემოს დაბინძურებაზე და აუცილებელია მოხდეს მკაცრი კონტროლი ამ მიმართულებით. ეკოლოგიური გადასახადით დაბეგვრას საფუძვლად უდევს გასული საუკუნის დასაწყისში ა. პიგუს მიერ შემუშავებული თეორია, რომლის მიხედვით გადასახადის სახით ამოღებულმა თანხამ უნდა დაფაროს საზოგადოებრივი დანაკარგები. მისი აზრით, გადასახადი, რომელიც აკორექტირებს უარყოფით გარეგან ეფექტებს, ტოლი უნდა იყოს ზღვრული სოციალური დანახარჯებისა.

მართალია, საქართველოში რსებობს კანონი მსგავსი გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, თუმცა რამდენად იცავენ ამ კანონს ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მსგავსი კანონი გამოიცა ჯერ კიდევ 1999 წლის 20 იანვარს. როგორც კანონში წერია, გადასახადის ლიმიტის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ზოგადად ყოველ კვარტალში დადგენილია, თუ რა მოცულობის მავნე ნივთიერებების გამოყოფაა დასაშვები და სწორედ ეს მასა, ითვლება გარემოში გამოყოფის ლიმიტად. ზოგადად მოცემული ლიმიტების დადგენა ხდება შემდეგნაირად:- საწყის ეტაპზე გადამხდელეები თავად ამუშავებენ ინფორმაციას კანონმდებლობის გათვალისწინებით და შემდეგ უკვე პროექტს წარუდგენენ დასამატკიცებლად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვადასხვა ორგანოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ საქმე ეხება დაბინძურების მსხვილ სტაციონარული ობიექტებს, მაშინ ამ შემთხვევაში საქმეში ერთვება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ხოლო იმ სიას, თუ ვინ შეიძლება მოხვდეს დაბინძურების მსხვილ სტაციონარულ ობიექტებს შორის შეიმუშავებს და შემდეგ უკვე ამტკიცებს საქართველოს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ზოგადად ის ლიმიტები, რომლებიც დამტკიცდა საანგარიშო პერიოდისათვის მოდიფიკაციას აღარ ექვემდებარება.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ეკოლოგიური გადასახადების შემოღება განპირობებულია ობიექტური აუცილებლობით, ფულად გამოსახულებაში აისახოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ის დანაკარგები, რომელიც გამოწვეულია გადასახადის გადამხდელების საქმიანობით გარემოსათვის მიყენებული ზიანით. გარემო, როგორც საზოგადოებრივი საქონელი, რომელსაც ღირებულება არ გააჩნია, ხდება გადასახადის გადამხდელის მხრიდან უსასყიდლო გამოყენების ობიექტი. შედეგად წარმოქმნილი დანაკარგები ტვირთად აწვება საზოგადოებას, რასაც თან ახლავს გარემოს ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული სარგებლობა, ამიტომ ეკოლოგიური გადასახადების დანიშნულებაა, გადასახადის გადამხდელმა სრულად გადაიხადოს დანაკარგების ღირებულება. სწორედ ეკოლოგიური გადასახადი აიძულებს გადასახადის გადამხდელს, შეამციროს ეკოლოგიური ზიანის დონე. ამგვარად, გადასახადი ხდება მაკორექტირებელი ინსტრუმენტი, რომლის წყალობითაც მიიღწევა ბალანსი წარმოების მოცულობასა და ამ წარმოების შედეგად გარემოზე მიყენებულ ზარალის ოდენობას შორის. ამ გადასახადს უწოდებენ პიგუს გადასახადს.<sup>28</sup> (მ. მიქელაშვილი 2018)

ამ საკითხთან ძალიან ახლოს მდგარი საკითხია ასევე ნარჩენებისა და დანაგვიანების პრობლემა. იმისათვის რომ შემცირდეს დანაგვიანების პრობლემა ქვეყანაში, იდეალური გზაა, საზოგადოების თითოეულმა წევრმა აიღოს საკუთარ თავზე თავისი წილი პასუხისმგებლობა და განათავსოს პირველი ეტაპიდანვე ნარჩენები სწორად შესაბამის ადგილებში. თუმცა იმისათვის, რომ საზოგადოებამ სწორად განათავსოს ნარჩენები, აუცილებელია, რიგი პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ თავზე შესაბამისმა უწყებებმაც და უზრუნველყონ ნარჩენების რაციონალური განთავსებისათვის საჭირო პირობები. ნარჩენების სწორად განთავსებისათვის, აუცილებელია, რომ საკმარისი ოდენობის კონტეინერი

---

<sup>28</sup> მიქელაშვილი მ.- მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემა. თბილისი. 2018

განთავსდეს შესაბამის ადგილებში, როგორებიცაა: სავალი ბილიკები, ქალაქის ცენტრი და სხვა ადგილები, სადაც დიდი რაოდენობით ადამიანები იყრიან თავს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გაცილებით კომფორტულს გახდის ნარჩენების რაციონალურად შეგროვებასა და ამ ნარჩენების ეფექტიანად განკარგვას. ასევე, აუცილებელია კონტეინერების რეგულარული დაცლის უზრუნველყოფა, რათა თავიდან ავიცილოთ მათი გადავსებით გამოწვეული პრობლემები.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში უკვე გამოჩნდა დიფერენცირებული ნაგვის ურნები, რომლებიც ერთმანეთისგანს განასხვავებს პლასტმასს, ქაღალდსა და სხვა სახის ნარჩენებს. თუმცა, ეს ურნები სამწუხაროდ განთავსებული არ არის მთელს ქალაქში და მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. ასევე თბილისში არსებობს ახალი იდეა, რომლის მიხედვითაც ძალიან მალე უნდა ველოდოთ მიწისქვეშა ნაგვის ურნებს. როგორც მიქაუტაძე ამბობს, მსგავსი ტიპის ნაგვის ურნების დამონტაჟება კომპანიას როგორც ფინანსური, ისე ადამიანური რესურსის დაზოგვაში დაეხმარება. თუმცა, აქვს თუ არა უპირატესობა მსგავსი ტიპის ნაგვის ურნებს ჩვეულებრივთან შედარებით გარემოს დაცვის მიმართულებით, ამასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით საქართველოში კვლევა არ არსებობს.

სამწუხაროა, მაგრამ მხოლოდდამხოლოდ კონტეინერების განთავსება, რომლებიც განკუთვნილია ნარჩენებისათვის, არ არის გარანტი, რომ ქუჩაში წესრიგი იქნება და ნარჩენები უაზროდ არ მიმოიფანტება. აუცილებელია, რომ შემუშავდეს სწორი და ეფექტიანი რეგულაციები, სწრაფად დაწესდეს ისინი და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოხდეს ამ რეგულაციების აღსრულება, ყოველივე ზემოთ ხსენებული ხელს შეუწყობს დანაგვიანების შემთხვევების წილის შემცირებას როგორც კერძო სექტორში, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც. ასეთი რეგულაციების მიზანია, აიკრძალოს ნარჩენების არასწორი განთავსება და გარემოს დანაგვიანება.

ბრიტანეთში განხორციელდა შესანიშნავია კამპანია- შევინარჩუნოთ დასუფთავებული ბრიტანეთი, რომელის თანახმადაც ჯარიმები საზოგადოების ქცევაზე იმის მიხედვით ჰპოვებს ასახვას, თუ რამდენად სჯერა ადამიანს, რომ არ დარჩება დაუსჯელი. მოცემული აზრი დასტურდება 2011 წლის კვლევის



მიხედვით, რომელიც ჩატარდა ბრიტანეთში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანებს დაუსჯელობის სინდრომი შეეყრებათ, ხოლმე. უმრავლესობას არც კი სჯერა, რომ შეიძლება გარემოს დანაგვიანების გამო დაჯარიმდეს. მეტიც, ყოველივე ამას ისინი დანაშაულადაც კი არ თვლიან. და არათუ კანონის, არამდე მორალის წინაშეც არ აგებენ პასუხს. ადამიანებმა აუცილებლად უნდა ირწმუნონ, რომ პასუხი მოეთხოვებათ ჩადენილისათვის. ამავე კვლევებზე დაყრდნობით, ადამიანი, ვისაც უნახავს ან სმენია დაჯარიმების ფაქტების შესახებ, ნაკლებად აბინძურებს გარემოს.

სადავო არაა, რომ ჯარიმებს გავლენა ადამიანების ქცევაზე რეალურია და იწვევს ადამიანის მიერ გარემოს დაბინძურების შემცირებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიტუაციის გამოსწორების საქმეში ლომის წილი აქვს განათლების დონესა და ცნობიერების ამაღლებას, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, რომ უზრუნველყონ გრძელვადიანი შედეგები. შესაძლოა, ჯგუფური დასუფთავების სხვადასხვა აქცია საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდეს საზოგადოებაში ანტი-დაბინძურებისკენ მიდრეკილი მხედველობის ჩამოყალიბებისათვის. ასევე, კარგი იქნება, ამ საკითხის შესახებ უფრო ინტენსიურად თუ ისაუბრებს ტელევიზია. ასევე მნიშვნელოვანი ძალა აქვს სოციალურ ქსელებსა და ჟურნალ-გაზეთებს. საჭიროა დანაგვიანების საწინააღმდეგო ნიშნების დაყენება ისეთ ადგილებში, რომლებშიც უფრო ხშირია დანაგვიანების ფაქტები.

არსებობს შემდეგი მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც მხოლოდ ჯარიმა არ არის ერთადერთი გზა, რომ ადამიანებს სურვილი გაუჩნდეთ რაციონალური მოქცევისა. ასევე ძალიან დადებითი ეფექტის მქონეა წამახალისებელი კამპანიები. ადამიანები შეიძლება დაჯილდოვდნენ გარემოსადმი განსაკუთრებულად პასუხისმგებლობით მოპყრობის გამო. ასეთი ჯილდო შეიძლება იყოს, მაგალითად, სავაჭრო ვაუჩერები. თუ მედიის ან თუნდაც სოც. ქსელების მეშვეობით მოხდება ამ ფაქტის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, ეს აუცილებლად გახდება ამოტივატორი ადამიანებისათვის, რომ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ მოცემულ საკითხებს.

მეცნიერები გარემოს გაფრთხილებისა და დაცვის ერთ-ერთ სტიმულატორად მიიჩნევენ ასევე- კერძო საკუთრების უფლებას. კერძო საკუთრების უფლება მნიშვნელოვან როლს შეიტანს გარემოს დაცვის გაუმჯობესებაში, ამასთან, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. საკუთრების უფლება გარემოს დაცვის შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიზეზებით განაპირობებს:<sup>29</sup> (ე. ხარაიშვილი 2019)

- მფლობელებს მეტი სტიმული ექნებათ რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის, ასევე მათი კონსერვაციის უზრუნველსაყოფად
- კერძო საკუთრების უფლების დროს რესურსები სათანადო მართვის ჩარჩოებში მოექცევა, შესაბამისად მათი ღირებულება და ამონაგები ეფექტიანი მართვის გზით გაიზრდება. ცხადია, თუ მფლობელი რესურსებს არასწორად მართავს და გარემოს აბინძურებს, იგი ზარალის ანაზღაურების საშიშროების წინაშე დგას
- რესურსზე საკუთრების უფლება მისი ღირებულების მაქსიმიზაციას გამოიწვევს გრძელვადიან პერიოდში და სხვა

მწვანე ეკონომიკის გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, ალტერნატიული გაზომვის მიდგომების შემუშავება. ახალი მეთოდოლოგიებისა და მონაცემთა წყაროების მექანიზმების გამოყენება. საკუთრების უფლებების ფორმებზე დამოკიდებულია გარემოზე რესურსების გამოყენების გავლენის დადგენა. გარემოზე ზემოქმედება განსაკუთრებით ხელშესახებია რესურსების ფართომასშტაბიანი გამოყენების დროს. მწვანე ეკონომიკის განვითარება განვითარებად ქვეყნებში უზრუნველყოფს როგორც ეკონომიკური, ისე, გარემოსდაცვითი და სოციალური სარგებლის ზრდას. ეკონომიკური სარგებელი შესაძლებელია იყოს მრავალგვარი, მათ შორის მაგალითად: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, რომელიც გამოწვეულია მწვანე პროდუქტების წარმოების გაფართოებით.

დღეს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ინოვაციის და ტექნოლოგიური

---

<sup>29</sup> ხარაიშვილი ე. მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით. თბილისი. 2019

განვითარების დონის ასამაღლებელ მიმართულებებზე. „ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების სფეროში როგორც რეგიონულ, ასევე ეროვნულ დონეზე სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი ამოცანა არის უახლესი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური საქმიანობის დანერგვის ხელშეწყობაზე ზრუნვა. სახელმწიფო უპირატესად წახალისებს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვას, რომლებიც არიან გარემოს დაცვაზე ორიენტირებულნი. და ასევე იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც ემსახურება „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების საკითხს“. <sup>30</sup>საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ის, რომ დაიცვან საკუთრების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით-აუცილებელია საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გზით, ასევე ფრიად მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის აპარატის სრულყოფაც. <sup>31</sup> ქოუზის თეორიის თანახმად, თუ მხარეებს შეუძლიათ ყოველგვარი დანახარჯების გარეშე ურთიერთსასარგებლო შეთანხმება რესურსების განაწილებაზე, მაშინ საბოლოო შედეგი ეფექტიანია, მიუხედავად იმისა, როგორ განისაზღვრება საკუთრების უფლება. <sup>32</sup> (ქოუზი 2011)

ასეთ შემთხვევაში სხვა ინდივიდების ჩარევის გარეშე გადაიჭრება გარე ეფექტების პრობლემა. რესურსების განაწილებისას ნულოვანი გარიგების ხარჯების შესახებ საკითხებს სხვა მეცნიერებები იკვლევენ და ასაბუთებენ, რომ პრობლემის გადასაწყვეტად უმეტესად საჭიროა საკუთრების უფლებების მკვეთრად განსაზღვრა. საქართველოში საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები და უფლებები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „საკუთრების უფლების შესახებ“. საქართველოს კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმები.<sup>33</sup>

საქართველოში რესურსების არაეფექტიანი გამოყენების დონე ჯერ კიდევ მაღალია. დღესაც, გარკვეული მიზეზების გამო, ძირითადად აქცენტი რესურსით სარგებლობაზე და არა მის წარმოებაზეა გადატანილი, განსაკუთრებით სოფლის

<sup>30</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2014:39

<sup>31</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, 2014:32

<sup>32</sup> Coase, 1990:98, The Coase Theorem, 2011

<sup>33</sup> საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1997

მეურნეობაში. რესურსებზე საკუთრების უფლებებს შორის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია მიწაზე საკუთრების ფორმების განხილვა. ზოგადად, ბოლო ათწლეულში გაზრდილია მოთხოვნა მიწაზე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწაზე როგორც გლობალურ, ისე ცალკეული ქვეყნის დონეზე. ამ თვალსაზრისით საქართველოში ორი ძირითადი ტენდენცია გამოვლინდა:

- გაიზარდა მიწაზე მოთხოვნა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განსახორციელებლად
- მიწაზე მოთხოვნის ზრდა დაფიქსირდა არასასოფლო-სამეურნეო აქტივობების ჩასატარებლად

რესურსებზე მფლობელობა და საკუთრების ფორმების ოპტიმალურ შეთანაწყობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მათ ეფექტიან გამოყენებაში. ცხადია, რესურსის კერძო მფლობელი ცალსახად არის დაინტერესებული, ეფექტიანად გამოიყენოს. რესურსების მას ასევე კანონიერი უფლებები გააჩნია საკუთრებაზე და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამართლებრივი გზით.<sup>34</sup> (ე. ხარაიშვილი. 2019)

მწვანე ეკონომიკური სტრატეგია აუცილებელია, დაფუძნებული იყოს აგრარული სფეროს პრიორიტეტულ განვითარებაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით გადაწყდეს მიწის საკუთრებისა და მფლობელობის ფორმები. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, რომ უნიკალური ბუნებრივი რესურსები გამოიყენოს ეკოლოგიური ფაქტორებით ხარისხობრივად. ამისათვის მიზანშეწონილია განხორციელდეს მაღალგანვითარებული რეკრეაციული კომპლექსის შექმნის პოლიტიკა.

ამრიგად, საკუთრებისა და სარგებლობის არც ერთი ფორმა, მათ შორის კერძო საკუთრება, არ არის მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა. ზოგადად საკუთრებისა და სარგებლობის ყველა უფლება იზღუდება სხვათა უფლებებით და ასევე სახელმწიფოების მიერ საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად გატარებული ღონისძიებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრებისა და

---

<sup>34</sup> ხარაიშვილი ე. მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით. თბილისი. 2019

სარგებლობის უფლებების სრულყოფის ღონისძიებები კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, ორიენტირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევაზე და შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ აღებულ ვალდებულებას.

მწვანე ეკონომიკის ფორმირების პრობლემებიდან საქართველოში ძალზე მნიშვნელოვანია მზის ენერჯიაზე მომუშავე დახურული გრუნტის კვალსათბურები. ისინი იძლევიან სარგავი მასალის 90%-ზე მეტს და ბოსტნეულის პროდუქციის 3%. დახურული გრუნტის მებოსტნეობა ძირითადად განლაგებულია დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ, სადაც იწარმოება მთელი ადრეული ბოსტნეულის დაახლოებით 91%. დახურული გრუნტის მებოსტნეობა საკმაო რაოდენობით არის ისეთ შორეულ რაიონებში, როგორცაა პოლარული მხარე, შორეული აღმოსავლეთი, კამჩატკა, სახალინი, ტაიმირის ნაციონალური ოკრუგი, იაკუტია და სხვა. სათბურების დაარსებამდე ამ მხარის მცხოვრებლები ბოსტნეულს მხოლოდ კონსერვების სახით იღებდნენ. მწვანე ეკონომიკის თვალსაზრისით საინტერესო პროცესები მიმდინარეობს აშშ-ის დახურული გრუნტის მებოსტნეობაში. მაგალითად, ნავთობის მონოპოლიის "სუპერიორ ფარნინგის" მფლობელობაშია დახურული გრუნტის სათბურები არიზონის შტატის ტუსინის რაიონში, დამშრალი მიწების ზონაში. აქ მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პამიდვრის უხვი მოსავალი და ბაზარზე გასაყიდად ყოველდღიურად გადის 4,5 ათასი ტონა.<sup>35</sup> კომპანიის დახურული გრუნტის სასათბურე მეურნეობებში პამიდვრის მოსავალი 8-ჯერ მაღალია ღია გრუნტის მეურნეობებთან შედარებით. სათბურები განლაგებულია აეროპორტების სიახლოვეს; სათბურებიდან მიღებული ბოსტნეული თვითმფრინავებით მიეწოდება ქვეყნის რაიონების მოსახლეობას.

დახურული გრუნტის მებოსტნეობის განვითარება დაკავშირებულია მსხვილ კაპიტალურ დაბანდებასთან. ამ თვალსაზრისით დიდი კაპიტალია დაბანდებული მარნეულის რაიონში, სადაც ფუნქციონირებს 35 სათბური. მარნეულის რაიონში წარმატებით ფუნქციონირებს მზის გათბობით მომუშავე

---

<sup>35</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სათბურები. ძირითადად აშენებენ ჩინელი სპეციალისტები. სხვადასხვა ტიპის სათბურების მუშაობის გამოცდილების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბოსტნეულის ყველაზე მაღალი თვითღირებულება აღმოჩნდა საკუთარი საქვებიდან მიღებული სითბოთი გამთბარ სათბურებში. ეს აიხსნება გათბობაზე დიდი დანახარჯებით. მზით გათბობილ სათბურებში, სადაც გამოყენებულია მზის ბუნებრივი ენერჯია ეს დანახარჯები გამორიცხებულია, ამიტომ მათი პროდუქციის თვითღირებულება ყველაზე დაბალია. მზით გამთბარ სათბურებში შედარებით დიდია დანახარჯები ამორტიზაციაზე, შრომის ანაზღაურებაზე და ძალზე მაღალია ზედნადები ხარჯები. წარმოების რენტაბელობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფასწარმოქმნის საკითხი, ამიტომ რენტაბელობისა და ფასების ურთიერთობის გარკვევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, საჭიროა გავარკვიოთ საკითხი იმის შესახებ, თუ შესყიდვის ფასების დაწესების დროს ისეთ სათბურში, სადაც მრავალი სახის ბოსტნეული იწარმოება, რენტაბელობა რა ასპექტით უნდა იქნეს განხილული, მთლიანად მეურნეობის თუ ცალკეული კულტურების მიხედვით. პრობლემის პრაქტიკულად გადაწყვეტას ართულებს ის გარემოება, რომ ოჯახურ მეურნეობასა და ფერმერულ მეურნეობებში დანახარჯების აღრიცხვა წარმოებს მთლიანად და არა ცალკეული ბოსტნეული კულტურების მიხედვით, რაც აძნელებს მათზე შესყიდვის ფასების გაანგარიშებას. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სათბურები ინფრასტრუქტურის ჩათვლით, იკავებს უნიკალური სახნავი მიწების უზარმაზარ ფართობებს. მცირემიწიანი ქვეყნისათვის მწვანე ეკონომიკის თვალსაზრისით სახნავი ფართობების შემცირება დაუშვებელია. აშშ-ის მწვანე ეკონომიკის გამოცდილების მსგავსად, კარგი იქნებოდა სათბურების მშენებლობა განხორციელებულიყო დამრობილი მიწების ზონაში და ბუნებრივი თერმული წყლების სიახლოვეს. ამ უკანასკნელის ათვისების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკაში დამატებით წარმოებული ყოფილიყო 50 ათასი ტონა დახურული გრუნტის ბოსტნეული.

უპრიანი იქნება თუ ვისაუბრებთ მწვანე ეკონომიკის ფორმირების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხებზე. ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ინდექსი, რომელიც უკავშირდება მდგრად განვითარებას არის- ადამიანის

განვითარების ინდექსი იგივე (HDI). ზოგადად (HDI) მოიცავს ჯანმრთელობის, შემოსავლისა და განათლების ფაქტორებს. 2019 წლის კვლევების მიხედვით 189 ქვეყანას შორის საქართველომ 70-ე ადგილს იკავებს ამ ინდექსით. ეს ინდექსი 0.786-ის უტოლდება.<sup>36</sup>

ასევე არსებობს გენდერული უთანასწორობის ინდექსი, რომელიც ასევე დაკავშირებულია მდგრად განვითარებასთან. 2019 წლის მონაცემებით თანდათან საგრძნობლად შემცირდა უთანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის. თუმცა ეს პროცესი ძალიან არის დროში გაწელილი. თუმცა არ იცვლება სტატისტიკა ეკონომიკური საქმიანობებში ქალთა ჩართულობის და ეს მაჩვენებელი კვლავ 27 პროცენტს უტოლდება. საქართველო გენდერული უთანასწორობის ინდექსით მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის 75-ე ადგილს იკავებს და ეს ინდექსი საქართველოში უდრის 0.351-ს.

შემდეგი ინდექსი, რომელიც უკავშირდება მდგრად განვითარებას- არის მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი, იგივე (MPI). როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აქვეყნებს ინფორმაციას, 2018 წელს საქართველოს მოსახლეობის მეხუთედზე ცოტა მეტი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით იმყოფებოდა. ეს მაჩვენებელი შეადგენს მოსახლეობის მეხუთედს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია და მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები.<sup>37</sup>

საინტერესოა, რა გამოცდილება არსებობს მსოფლიოში სიღარიბის დონის შემცირებასთან დაგავშირებით. შეგვიძლია ჩამოვაცალიოთ რამდენიმე მათგანი:

- ფილიპინები - ცდილობს გაზარდოს მოქალაქეების ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის მიმდინარეობაში. მსგავსი ქმედებით უფრო მარტივი იქნება ისეთი პროექტების იდენტიფიცირება და ხელშეწყობა, რომლებიც ხელს შეუწყობს სიღარიბის დონის შემცირებას
- ჩილე - აქტიურად ცდილობს მოწყვლადი ჯგუფების გააქტიურებას ისეთ საკითხებში, როგორცაა გარემოსდაცვითი პრობლემები. ამ მხრივ ის ცდილობს,

<sup>36</sup> Human Development Report 2019

<sup>37</sup> ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში- კვლევა, თბილისი 2018

რომ ყველაფერი იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ინფორმაცია იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი.

- შვედეთი - აქტიურად ცდილობს, რომ მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს ფინანსური დახმარებები. ამ ქმედების მიზანია, რომ მაქსიმალურად ეფექტიანი იყოს ფინანსური რესურსების გამოყენება სიღარიბის შემცირების მიმართულებით.

სოციალური უთანასწორობის ერთ-ერთი სტატისტიკური საზომი არის ასევე ჯინის ინდექსი, რომელიც ზოგადად ზომავს ქვეყანაში მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების დონეს. საქართველოში ეს კოეფიციენტი უდრის 40 პროცენტს. ზოგადად ჯინის კოეფიციენტი მოთავსებულია 0-სა და 1-ს შორის. თუ ჯინის კოეფიციენტი 1-თან ახლოსაა, ამ შემთხვევაში უთანასწორობა ძალიან მაღალია. ხოლო თუ ჯინი უხლოვდება ნულს, მაშინ შემოსავლები გადანაწილებულია შედარებით თანაბრად.

ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ინდექსია ასევე გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი. გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი (GGEI) ზომავს ქვეყნების მწვანე ეკონომიკურ საქმიანობას. GGEI ინდექსის გაანგრიშებისას გამოიყენება შემდეგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები: ლიდერობა და კლიმატის ცვლილება, სექტორთა ეფექტიანობა, ბაზრები და ინვესტიციები, გარემო. 2018 წლის მონაცემებით, 130 ქვეყანას შორის საქართველო 44-ე ადგილს იკავებს (0,5183). ხოლო პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება:

1. შვედეთი- 0.7608
2. შვეიცარია- 0.7594
3. ისლანდია- 0.7129
4. ნორვეგია- 0.7031
5. ფინეთი- 0.6997



## დასკვნა

დაახლოებით ორი ათწლეულია, რაც მწვავედ დგას მრეწველობის სწრაფი ტემპებით ზრდის და პარალელურად გარემოს დაცვის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. ეკონომიკისა და წარმოების განვითარება იწვევს გარემოს გლობალურ ცვლილებებს, მაგალითად, როგორცაა გლობალური დათბობა. ასევე პრობლემაა, ენერჯის ძალიან დიდი რაოდენობით გამოყოფა მთელს პლანეტაზე, მიწების გაუდაბნობა, რასაც იწვევს მიწაში ქიმიკატებისა და რადიაციული ელემენტების დიდი რაოდენობით შერევა, ფლორისა და ფაუნის შემცირება და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ეს პროცესები დედამიწაზე ჯაჭვურ რეაქციას იწვევს და ერთი მათგანის მდგომარეობის გაუარესება ხშირად აუარესებს მეორეს მდგომარეობასაც. რისი საბოლოო შედეგიც შეიძლება იყოს ეკოლოგიური კატასტროფა.

ზოგადად, გარემოში თითქმის ყველა რესურსი განსაზღვრული რაოდენობისაა და ადრე თუ გვიან ამოწურვადია. ეს კი აუცილებლად გახდება მუდმივად მზარდი მოსახლეობის განსაკუთრებით კი მისი ღარიბი ნაწილის შიმშილის, ავადმყოფობისა და განადგურების მიზეზი, რადგანაც მცირერიცხოვანი რესურსები მცირერიცხოვანი მდიდრების ხელში აღმოჩნდება, რაც თავის მხრივ გარდაუვალი სოციალური კრიზის საფუძველია.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე საზოგადოების თვითშეგნება და დამოკიდებულება გარემოსადმი. ხშირია შემთხვევები, როდესაც საზოგადოება თავად აზიანებს საკუთარ ჯანმრთელობას. ასეთი შემთხვევის მაგალითია წყლების დაბინძურება.

არსებობს ერთი ძალიან საინტერესო გამოთქმა- „ მოექეცი სხვებს ზუსტად ისე, როგორც შენ გინდა, რომ მოგექცნენ სხვები “. მოცემული სიტყვები თითქოს მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების დევიზია. დღეისათვის ორივე მათგანი აქტიურად ინერგება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამონაკლისი არაა საქართველოც. ამ მიმართულებით საქართველოში გადადგმულია არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი და განხორციელდა არაერთი საინტერესო პროექტი,

თუმცა, ყოველივე ეს არ აღმოჩნდა საკმარისი და საჭიროა კიდევ უფრო მეტი ძალებითა და რესურსებით დავიცვათ ჩვეი ქვეყანა და ის გარემო რომელშიც ვცხოვრობთ, რადგან მდგრადი განვითარება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც საჭიროა მომავალი თაობების ღირსეული არსებობისა და განვითარებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ადვიშვილი მ. გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი“. მწვანე ალტერნარევა. თბილისი. 2012
2. ანანიაშვილი ი. „არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები“. ეკონომიკა და ბიზნესი. 2014, # 5, გვ. 13-54
3. ანანიაშვილი ი., „ეკონომეტრიკა“. სახელმძღვანელო. მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბილისი, მერიდიანი, 2012. 412 გვ
4. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. თბილისი. 2013
5. ბერიძე თ. „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტ.10 გამომცემლობა „სიახლე“. გვ.115–122
6. ბლიაძე მ. მწვანე ეკონომიკა. ონლაინ პლატფორმა, თბილისი. 2018
7. გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
8. გელაშვილი ს. „ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება“. სახელმძღვანელო. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012
9. გელაშვილი ს. „საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა“. სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2015
10. გველესიანი რ., „ძირითად საზოგადოებრივ ფასეულობებს შორის არსებული წინააღმდეგობები და მათი დაძლევის გზები“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.X., #1, 2017
11. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. "ეკონომიკური პოლიტიკა", გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009
12. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. მდგრადი განვითარების მე-16 მიზანი საერთაშორისო ფორუმის ყურადღების ცენტრში. თბილისი. 2017

13. ლიპარტელიანი მ. მწვანე სახურავები - ეზოს თანამედროვე ალტერნატივა. თბილისი, 2018
14. მარშავა ქ. „მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი კომპონენტების საერთაშორისო შედარებები - მშპ ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულება“. გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ.488-492, 2012
15. მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, #2, 2015
16. მიქელაშვილი მ.- მწვანე ეკონომიკა და საგადასახადო დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემა. თბილისი. 2018
17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. მდგრადი განვითარება
18. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ჰაერის დაბინძურების ხარისხი. 2020
19. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა. თბილისი. 2017
20. საქართველოს მთავრობა. საქართველოს გარემოს დაცვის მეორე ეროვნული პროგრამა: 2012-2016. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2012 წ. 24 იანვრის #127 განკარგულებით. თბილისი. 2012
21. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
22. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020
23. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, თავი V, ეკონომიკური მექანიზმები გარემოს დაცვის სფეროში
24. სილაგაძე ა. "ეკონომიკური დოქტრინები", თბილისი, 2010
25. ტალიკაძე ნ. კონფერენცია- „ ეკონომიკა – XXI საუკუნე “. თბილისი. 2019
26. ფანჩულიძე ქ. უმძიმესი ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი. 2016
27. ქავთარეძე თ.- მწვანე ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში. თბილისი. 2018

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. თბილისში ნარჩენების სეპარაციისთვის განკუთვნილი ურნები განთავსდა. 2018
29. ქოჩლაძე მ. მწვანე ეკონომიკის დილემა. თბილისი. 2019
30. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის დერეგულირების მაკროეკონომიკური ასპექტები., ჟ. ეკონომისტი, №1. თბილისი. 2009
31. ხადური ნ. ეკონომიკური ზრდა - რეალობა და პერსპექტივები., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი. 2010
32. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. მაკროეკონომიკა, ლექციების კურსი. თბილისი. 2011
33. ხადური ნ. ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ კრებული. თბილისი. 2012
34. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკა, სამაგისტრო პროგრამის რიდერი . თბილისი. თსუ. 2016
35. ხარაიშვილი ე. მწვანე ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევები და მათი დაძლევის ზოგიერთი გზა საკუთრების უფლების რეგულირების მექანიზმებით. თბილისი. 2019
36. ხარაიშვილი ე. „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში“, მონოგრაფია გამომცემლობა „უნივერსალი“, 195 გვ
37. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე ი. „მიკროეკონომიკა“, სახელმძღვანელო, მე-3 შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. ავტორები: გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014
38. პაპავა ვ. საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი. 2015
39. პაპავა ვ. „არატრადიციული ეკონომიკა“, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011
40. პალმერი ბ. ყველაფერი, რაც გენმოდიფიცირებული საკვების შესახებ უნდა იცოდეთ. 2016

41. Abel Andrew B, Bernanke Ben S., Croushore Dean. 2015. Macroeconomics. 6th ed.
42. Ali, S. H. (2010, June 28). Ecological diplomacy – can we use environmental conservation to build peace?
43. Analysis | Air pollution in Tbilisi nearly halved by COVID-19 measures. 2020
44. Beam, C. (2009, March 6). Man’s First Friend. Slate Magazine
45. Bbc.com. Coronavirus: Wales' air pollution drops because of lockdown. 2020
46. Black Rock. 2020. A Fundamental Reshaping of Finance
47. Cristina Nunez 2019. National Geographic. Desertification, Explained
48. Coase, 1990:98, The Coase Theorem, 2011
49. Dornbusch Rudiger, Fischer Stanley, Startz Richard. 2016. Macroeconomics.11th ed.
50. Evans, M. (2011, April 20). Sustainable Transport. Earth Times | News and Information about Environmental Issues
51. Environment programme. Why does green economy matter. 2020  
<https://www.unenvironment.org/explore-topics/green-economy/why-does-green-economy-matter>
52. Gabioud, M. V. (2012). Improving inter-state relations through transboundary peace parks (Master’s thesis)
53. Cameron Allen, Stuart Clouth. 2012. A guidebook to the Green Economy
54. Georgeson L., Maslin M., Poessinouw M., (2017), The global green economy: a review of concepts, definitions, measurement methodologies and their interactions.
55. Green Growth and Green Economy.2019  
<https://www.unescap.org/our-work/environment-development/green-growth-green-economy/about>
56. Global sustainable investment Alliance. Global sustainable investment Review. 2016
57. G. Tyler Miller, Jr. and Scott E. Spoolman, 2009, 2007. Living in the environment: principles, connections and solutions, 16e, Brooks/Cole, Cengage Learnin.
58. Healthy People & Planet with Technogym Green. 2019  
[https://www.go-green.ae/greenstory\\_view.php?storyid=1149](https://www.go-green.ae/greenstory_view.php?storyid=1149)
59. Larry fink’s letter to CEOs. (n.d.). BlackRock 2019
60. Leal Filho, Diana-Mihaela. 2017. Sustainable Economic Development.

61. Mark Sumner- Can the Fashion Industry Ever Really Be Sustainable?. 2019
62. Mishkin, Frederic s. 2015. macroeconomics policy and practice.
63. Michael Sterm. 2018 . Arguments on genetically modified foods.
64. Ostrowski, S. (2010). Cooperation, Contestation, and Conservation: An Analysis of Peace Parks
65. OECD- <https://www.oecd.org/countries/georgia/>
66. Ranvir Nayar. 2020. World has golden opportunity to go green
67. Romer David. 2017. Advanced Macroeconomics. fourth edition university of california, berkeley.
68. Rodrigue, J. (2020, January 25). Transport and sustainability. The Geography of Transport Systems.
69. Richard w. Haynes. 2017. An analysis of the timber situation in the United States
70. Sandwith T., Shine C., Hamilton L. & Sheppard D., 2001: Transboundary Protected Areas for Peace and Co-operation.
71. Sustainable Development Goals. 2020
72. Skakelja N. (2017), Green Economy Opportunities For Rural Europe
73. The Coase Theorem (2013), Economic Approaches to Law series, Edited by Richard A. Posner, Judge
74. The fat-burning and energy-producing gyms. 2015  
<https://www.theguardian.com/sustainable-business/2015/apr/01/the-fat-burning-and-energy-producing-gyms>
75. The Sustainable Development Goals in Georgia 2019
76. unenvironment.org. Environment programme. Green Economy. 2020
77. What is sustainable finance? (2018, April 17). The Economist
78. Williamson Stephen d.,2015. Macroeconomics, fifth edition washington university